# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 23 აგვისტო 2001 №159 (1432) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაღდი ბურთაობა ბურთულებით იწყება

გუშინდელმა მატჩებმა ის ათი გუნდი გაარკვია, ჩემპიონთა ლიგის პირველ ჯგუფურ ეტაპზე რომ დაიგულეს თავი. ახლა უეფას ჩინოსნები წინასწარ განთესილ თექვსმეტს საკვალიფიკაციო ეტაპებგამოვლილ ამდენივე კლუბს დაამატებენ და შვეიცარიულ ნიონში საწილისყრო ბურთულებით რვა ოთხგუნდიან ჯგუფად დაჰყოფენ. გუშინდელი ლიგური საღამო სულაც არ ადარდებდათ მადრიდის „რეალსა“ და ზინედინ ზიდანს. მსოფლიოს უძვირესი კლუბი და ფეხბურთელი ესპანეთის სუპერთასისთვის „სარაგოსასთან“ ღვრიდნენ ოფლს. „რეალმა“ რაულის უპასუხო ჰეთ თრიქით იმარჯვა და ზიდანმაც პირველი ესპანური ჯილდო მოიპოვა.
ახლა ვთქვათ უეფას თასზეც, რომლის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩები დღეს გაიმართება ევროპის სტადიონებზე.
ერთ ასეთ შეხვედრას თბილისიც უმასპინძლებს. ჩვენი „ლოკომოტივი“ ვაკეში მალტურ „ბირკირკარას“ დაუხვდება და იქაური 0:0-ის მერე კარგი შანსიც აქვს, მომდევნო წრეში გააღწიოს. ცოტა უფრო რთულადაა თბილისის „დინამოს“ საქმე, რომელიც ბელარუსული ბორისოვის „ბატეს“ თბილისური 2:1-ით სტუმრობს.

იხილეთ მეორე-მესამე გვერდები




REUTERS სტამბოლიდან

ფენერბაჰჩე — რეინჯერსი 2:1. შტეფან კლოსმა (№1) და რეინჯერსელებმა ორი გოლი გაუშვეს და ლიგაში თურქები შეუშვეს



REUTERS მადრიდიდან




რეალი — სარაგოსა 3:0. ზინედინ ზიდანმა (მარცხნივ) პირველი ესპანური ტიტული უგოლოდ მოიპოვა, რაულმა კი ლამის ყველას მაგივრად გაიტანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონთა ლიგა

## მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი. მეორე მატჩები

**ლევსკი** (ბულგარეთი) 1:1 **გალათასარაი** *(თურქეთი)* (1:2)
0:1 სერქანი (49), 1:1 პანტელიჩი (79)

**სელტიკი** *(შოტლანდია)* 0:1 აიაქსი (ჰოლანდია) (3:1)
0:1 ვამბერტო (29)

**ანდერლეხტი** *(ბელგია)* 1:1 ჰალმსტადი (შვედეთი) (3:2)
0:1 ტ. იონსონი (11), 1:1 დე ბოეკი (82)

გრასჰოპერი (შვეიცარია) 2:3 **პორტუ** *(პორტუგალია)* (2:2)
0:1 კრუზი (13), 0:2 ნუნუ კაპუშუ (43), 1:2 პეტრიჩი (77), 1:3 დეკო სოუზა (79), 2:3 ზაპუიზა (86)

**ფენერბაჰჩე** *(თურქეთი)* 2:1 გლაზგო რეინჯერსი (შოტლანდია) (0:0)
1:0 რევივო (3), 2:0 აქინი (71), 2:1 რიკსენი (73)

**რუსენბორგი** *(ნორვეგია)* 4:0 ინტერი (ბრატისლავა, სლოვაკეთი) (3:3)
1:0 ფ. იონსენი (11), 2:0 რუშფელდტი (15), 3:0 სკამელსრუდი (42), 4:0 სტრანდი (84)

**პანათინაიკოსი** *(საბერძნეთი)* 1:0 სლავია (პრაღა, ჩეხეთი) (2:1)
1:0 ბასინასი (26)

**ლილი** *(საფრანგეთი)* 0:1 პარმა (იტალია) (2:0)
0:1 სენსინი (26)

**დორტმუნდი** *(გერმანია)* 3:1 შახტარი (უკრაინა) (2:0)
0:1 აგაოვა (7), 1:1 იან კოლერი (49), 2:1 ამოროზო (64), 3:1 იან კოლერი (68)

ტიროლი (ავსტრია) 0:1 **ლოკომოტივი** *(რუსეთი)* (1:3)
0:1 მამინოვი (51)



დორტმუნდი — შახტარი. იან კოლერი (მარცხნივ) უკრაინელებს შედეგიანად შეასკდა



პანათინაიკოსი — სლავია. ჩეხი გედეონ პატრკი ბერძენ ტაკის ფისასს პაერიდან ეომება





უჩვეულოა ზოგჯერ სიხარული. სახეზე განცდა, გულში ზეიმი: დევიდ ბექჰემი და „ლილის" მწვრთნელი ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩი



ლევსკი — გალათასარაი. თავი თავზე, ბურთი განზე: ბიულენთ ქორქმაზი (№3) და გეორგი ივანოვი

### ინგლისი

**პრემიერლიგა. II ტური**

ფულემი 2:0 სანდერლენდი
1:0 ბეილსი (70), 2:0 საჰა (84)

ბლექბერნი 2:2 მანჩესტერ იუნ.
0:1 გიგზი (20), 1:1 ბექემი (49ს.კ.), 2:1 გილესპი (69), 2:2 ბექემი (78)

**ლიგის თასი. I ეტაპი**

ბირმინგემი 3:0 საუთენდი
კემბრიჯი 1:1 (პენ. 3:4, 1:1) ვესტ ბრომვიჩი
სტოკი 0:0 (პენ. 3:4) ოლდემი
ვულვერჰემპტონი 1:2 სუინდონი

### ჰოლანდია

**I დივიზიონი. II ტური**

როდა 0:2 ფეიენოორდი
0:1, 0:2 ვან პოიდონკი (27, 87)

გრონინგენი 1:0 ტილბურგი
1:0 სხონმაკერსი (21)

ნაიმეგენი 1:0 ვალვაიკი
1:0 ხრისტოვი (30)

სპარტა 3:1 უტრეხტი
1:0 ბუჩიბა (31), 2:0 ბუხარი (48), 2:1 ტანგე (87), 3:1 ბუხარი (90)

პსვ ეინდჰოვენი 3:2 დენ ბოსხი
0:1 მჟიზრატი (40), 1:1 კეჟმანი (45პ), 1:2 მაქსიმიანო (53), 2:2 ბრუგინკი (71), 3:2 ვან ბომელი (84)

ვიტესი 1:0 ალკმაარი
1:0 მუსტაფა (49)

სიტარდი 2:1 გრააფსხაპი
1:0 გურომპერი (23), 2:0 ვან დიერენი (42), 2:1 შულპი (76)

### გერმანია

**ჩრდილოეთ რეგიონალლიგა**

**V ტური**

ვერდერი (მოყვ.) 2:0 ქემნიცი
პადერბორნი 1:0 დრეზდენი
მიუნსტერი 0:2 იურდინგენი
აუე 2:0 მაგდებურგი

### შვედეთი

**XVIII ტური**

მალმიო 2:1 იორგრიტე

### ნორვეგია

**თასის 1/4 ფინალი**

ოდ გრენლანდი 2:0 სოგნდალი
ბრინი 3:2 ვოლერენგა
ლილესტრიომი 3:0 ბრანი

### პოლონეთი

**ლიგის თასი**

**III ეტაპი. II მატჩები**

გროცლინი 2:0 სტომილი (1:1)
ვიძევი 0:1 ოდრა (1:4)

### ესპანეთი

**სუპერთასი. II მატჩი**

რეალი 3:0 სარაგოსა (1:1)
1:0, 2:0, 3:0 რაული (72, 80, 89)


კახა ცხადაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა


მალტელებს ნიგერიელი ჩუს ნვოკოსი ეიმედებათ

უეფას თასი 2001-02. საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი

## ლოკომოტივი — ბირკირკარა

თბილისი. „ლოკომოტივი". ტევადობა 25 600. 23 აგვისტო. 21 საათი

# ბირკირკარა ლოკომოტივმა გადარია
# ცხადაძემ შეიძლება ფეხი გაწიროს

*...ერთი დაიძახა „ლოკომოტივის" თავკაცმა კახა ცხადაძემ მორჩა, ვარჯიში დავასრულოთო და მთელი გუნდი მოეშვა. ზოგმა გასახდელს მიაშურა, ზოგმაც ბუცები მოედანზევე გაიძრო და მინდორზე წინდებით გაიარა.*

*კახა ცხადაძემ ჟურნალისტებისთვის მოიცალა, სერგო კოტრიკაძე იქვე, სათადარიგოთა სკამზე ჩამოჯდა, ხოლო ზაურ სვანაძე და თემურ ჩხაიძე გასახდელისკენ მიმავალ ფეხბურთელებს უკან მიჰყვნენ. ნავარჯიშევს ჩინებულ ხასიათზე იყვნენ რკინიგზელები, არანაირი რიდი, იმედიანად ელიან 23 აგვისტოს საღამოს.*

*...ბოლომდე მოედანს მწვრთნელთან ერთად სამი რკინიგზელიღა შემორჩა. კახა გოგიჩაიშვილი ჟურნალისტებმა დავაყოვნეთ, ხოლო მცველები — ზაზა ლაცაბიძე და გიორგი დავითნიძე ერთმანეთში ბურთით ჟონგლიორობდნენ.*

„მართალია, მალტელები ბურთს ნორმალურად აგორებენ, მაგრამ მომდევნო ეტაპზე „ლოკომოტივი" გავა. ჩვენ „ბირკირკარა" ვერ გაგვიძლებს" — **კახა გოგიჩაიშვილი** დარწმუნებულია გამარჯვებაში.

„ჩვენ უნდა მოვიგოთ, ამიტომ მეტოქეს შევუტევთ. ისე არ გამიგოთ, თითქოს თავქუდმოგლეჯილები სტუმართა კარისკენ ათი მოთამაშით გავიწევთ, მაგრამ"... **კახა ცხადაძემ** წინადადება ვერ დაასრულა. გულის გამაწვრილებელი ღრჭიალი გაისმა და მოედანზე გაშხლართული ზაზა ლაცაბიძეც აკვ-ნ[illegible]ა, ვაი ფეხი[illegible].

ცხადაძე შეცბუნდა, ლაცაბიძისკენ სწრაფად გაეშურა, წამებში გასიებულ კოჭს დახედა და სახეზე ფერი ეცვალა. ხვალ კი არა, სულ ცოტა ორი თვე ვერ ითამაშებსო. ხმაში სიბრაზე გაერია და დავითნიძეს მისდგა, ხომ ვთქვი, ვარჯიში დასრულდა-მეთქი.

...„ლოკომოტივის" ოდნავ შელახულ გაზონზე მალტელი მოთამაშეებიც გამოჩნდნენ. დაფიქრებული კახა ცხადაძე თვალს მიეფარა, კლუბის ხელმძღვანელთა ნაწილმა და დანარჩენმა მწვრთნელებმა იმაზე იწყეს ფიქრი, მომდევნო საღამოს დაშავებულის ნაცვლად ვინ ეთამაშებინათ.

ორიოდ წუთში სამმა ვარიანტმა გაიჟღერა. პირველი ვერსია — სერგო კოტრიკაძეს ეკუთვნოდა — ბალაშვილი ცენტრში შემოვწიოთ და მის ადგილზე დავითნიძე გავამწესოთო, მაგრამ... რატომღაც ჩაფიქრდა კოტრიკაძე.

მეორე ვარიანტად სამი მცველით თამაში (ბალაშვილი, სალუქვაძე, გილაური) და ძირითადში სწრაფი ფორვარდის დავით ჯანაშიას დაყენება ითქვა.

ბოლოს კლუბის თავკაცებმა ტრავმამოუშუშებელ კახა ცხადაძისკენ გაიხედეს, იქნებ თავად გავიდეს მოედანზეო. ამ წინადადებას ყველაზე მეტი მომხრე ჰყავდა, თუმც წუხელ „ლოკომოტივის" ბანაკში საბოლოო არჩევანი არ გაკეთებულა.

ნირშეცვლილმა რკინიგზელებმა სტადიონი დატოვეს, ხოლო კოჭშეხვეული ლაცაბიძე სერგო კოტრიკაძემ საავადმყოფოში გააქანა. გადაწყვეტილი ამბავია, რკინიგზელთა ცენტრალური მცველი დღეს ვერ ითამაშებს.

...„ბირკირკარა" კი ვარჯიშობდა. უხასიათობა არც მათ ეტყობოდათ. მალტური გუნდის ვიცე-პრეზიდენტი ჯონ ბორჯი რკინიგზელთა ახალი სარბიელით იყო აღფრთოვანებული და თარჯიმანს შეკითხვებით არ ასვენებდა.

რკინიგზის დეპარტამენტის თავკაცებმა სტუმარი თითქმის ყველა წვრილმანში გაანათლეს — ძველი სტადიონი დავანგრიეთ და წელიწადნახევარში ათმილიონიანი (აღარ დაუკონკრეტებიათ ლარიანი თუ დოლარიანი) სტადიონი წამოვჭიმეთო. ბორჯი აღტაცებას ვერ ფარავდა.

მალტელებს საათიანი წვრთნა გამოუვიდათ. წვრთნის დიდი ნაწილი მოთელვამ და გაწელვითმა ვარჯიშებმა წაიღო. მერე ცოტა ხანი ქართული კლუბებისთვის კარგად ნაცნობი ხელბურთ-კალათბურთი ითამაშეს, ცოტაც მეკარეები შეაწუხეს და „ლოკომოტივის" მერსედესის მარკის ავტობუსიც გამოჩნდა.

„ბირკირკარამ" სასტუმრო „ილიანისკენ" აიღო გეზი, ხოლო მათმა ვიცე-პრეზიდენტმა **ჯონ ბორჯმა** ეს დაგვიბარა — კარგი გუნდია „ლოკომოტივი", მაგრამ მაინც მჯერა, რომ მომდევნო ეტაპზე ჩვენ გავაღწევთო.

იმ კაცს თავისიანებისა კი ეიმედება, მაგრამ რატომღაც გვგონია, რომ დღეს საღამოს „ლოკომოტივი" მოიგებს. მაინც უნდა იმარჯვონ: ლაცაბიძე კი არა, ნახევარი რკინიგზა დროებით სამკურნალო რომ შეიქნეს.

**მამუკა ქვანტალიანი**


„ლოკომოტივი" „ბირკირკარას" დამარცხებას აპირებს

უეფას თასი 2001-02. საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი

## ბატე — დინამო

ბორისოვი. „ცენტრალური". ტევადობა 6 000. 23 აგვისტო. 19 საათი

# ჩვენი თავის ფასი უნდა ვიცოდეთ
# ბელარუსში დინამო ჰყვარებიათ, მაგრამ ფეხზე ვერ დაუდგებიან

*რთული მატჩი ელის „დინამოს" დღეს ბორისოვის ცენტრალურ სტადიონზე, რომელიც გაგარინის ქუჩისა და ორჯონიკიძის გამზირის გადაკვეთაზე მდებარეობს. ასეა, ლუკაშენკოს ბელარუსში არც ქართველ ბოლშევიკებს ივიწყებენ და ქალაქის ერთ-ერთ მოედანს დიდი ოქტომბრის რევოლუციის სახელიც ჰქვია.*

*გივი ნოდიას გადაწყვეტილებით, გუნდი ბორისოვში, სასტუმრო „ბერეზინაში" დაბინავდა. „დინამოს" მინსკის რომელიმე სამვარსკვლავიან სასტუმროშიც შეეძლო ეცხოვრა (ბორისოვი დედაქალაქიდან 45 წუთის სავალზეა), თუმც ნაკლებკომფორტული სამყოფელი არჩია.*

— ჩვენ აქ ფეხბურთის სათამაშოდ ჩამოვედით და არა კომფორტული ცხოვრებისთვის. „ბერეზინაში" გუნდს ნორმალური კვება და სათანადო პირობები აქვს — მოკლედ მოგვიჭრა **გივი ნოდიამ,** როცა გუშინ საღამოს ტელეფონით შევეხმიანეთ მატჩისწინა ინტერვიუსთვის.

**— ეროვნული ჩემპიონატის ბოლო შეხვედრაში ზესტაფონის „მეტალურგთან" კარში ზურაბ ბათიაშვილი იდგა. „ბატესთან" სტუმრად მატჩში მეკარეზე ბევრი იქნება დამოკიდებული და ამჯერად ვის ანდობთ კარის დაცვას — ბათიაშვილს თუ გრიშიკაშვილს?**

— არ დაგიმალავთ და პირდაპირ გეტყვით — ჯერ არ გადამიწყვეტია ვინ ჩადგება კარში და საერთოდ, მთლიან შემადგენლობას თამაშის დღეს დავადგენთ. ახლა მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ შემადგენლობაში ალბათ, მინიმალური ცვლილებები თუ მოხდება.

**— „დინამოს" ნახევარდაცვის ცენტრში აქვს პრობლემები. ბელარუსში ახლახან გამოჯანმრთელებული ჯონი შალამბერიძე წაიყვანეთ და მზად არის, რომ ასეთ მნიშვნელოვან მატჩში ითამაშოს?**

— ტრავმის მოშუშების შემდეგ მან მხოლოდ სამჯერ ივარჯიშა გუნდთან ერთად, თუმც გადაჭრით ამ შემთხვევაშიც ვერაფერს გეტყვით, ვნახოთ...


გივი ნოდია


„დინამო" — „ბატეს" თბილისურ მატჩში ვიტალი დარასელია (ბურთით) გამოირჩეოდა

**— ბორისოვში ორჯერ მოასწრებდით ვარჯიშს.**

— დიახ, ჩასვლის დღესაც ვივარჯიშეთ და თამაშის წინა საღამოსაც. ბორისოვში პატარა და კოხტა სტადიონი აქვთ, მინდორი კი ძალიან კარგი. გუნდში ნორმალური განწყობაა, ყველანი ჯანმრთელად არიან. ამინდებიც კარგია, არ ცხელა, საშუალო ტემპერატურა ოცი გრადუსია.

**— წინასამატჩო აჟიოტაჟი როგორია?**

— ამ მატჩის ირგვლივ დიდი ყურადღება იგრძნობა. სტადიონის ყველა ბილეთი გაყიდულიაო, გვითხრეს. ბორისოვის სტადიონს კარებს უკან ტრიბუნები არა აქვს, გულშემატკივრები იქ ფეხზე დასადგომი ბილეთების გაყიდვასაც მოითხოვდნენ, მაგრამ უეფას წესები ხომ მოგეხსენებათ.

„დინამოს" არც ბელარუსელი ჟურნალისტების ყურადღება აკლია. ჩვენთან უბრალო გულშემატკივრებიც მოვიდნენ და გვითხრეს, თქვენ გუნდს ვქომაგობთ, მაგრამ ამას ვერ გამოვხატავთო. ერთი სიტყვით, ბელარუსში თბილისის „დინამოს" მიმართ სიმპათიები ნაღდად იგრძნობა.

**— ჰოდა, „დინამო" ალბათ დაცვით ვარიანტს არ აირჩევს...**

— ვარიანტის არჩევა იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ მეტოქეს ეთამაშები. ჩვენ შევეცდებით ბალანსირებული ფეხბურთი ვითამაშოთ. რაც შეიძლება ნაკლები შეცდომები დავუშვათ დაცვაში და როგორც კი შესაძლებლობა მოგვეცემა, მწვავედ შევუტიოთ. ზედმეტი თავდაჯერებულობა არ ივარგებს, მაგრამ ჩვენი თავის ფასიც უნდა ვიცოდეთ.

**— ბორისოველთა ლიდერ ვიტალი კუტუზოვს არც ამჯერად მიუჩენთ პერსონალურ მეურვეს?**

— რასაკვირველია, არა. ჩვენ ისევ ზონურ დაცვას მივმართავთ.

**დავით თაგართქილაძე**



თემურ მირიანაშვილი



ფეხბურთის ფედერაციის საგანგებო კომიტეტს სახელმწიფომ შეუტია

# სახელმწიფო კანცელარიაში ფეხბურთის სამინისტრო მოიგონეს

## თემურ მირიანაშვილი: მერაბ ჟორდანია მთავრობის კაცმა უნდა შეცვალოს

*ახალი სკანდალის სუნი დატრიალდა ქართულ ფეხბურთში, თანაც ისეთი, ბევრი რამის ხელაღებით შეცვლა რომ ძალუძს. სამწუხაროდ, ჯერჯერობით კაცი ვერაფრით განსაზღვრავს, რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ყოველივეს. შესაძლოა, ქართულ ფეხბურთში ყველაფერი სასიკეთოდ შეიცვალოს, თუმც იმის შანსიც დიდია, საბოლოოდ დაესვას წერტილი ჩვენში სპორტის ამ ულამაზეს სახეობას.*

*მაშ ასე, სკანდალზე, რომელიც გუშინ სახელმწიფო კანცელარიიდან დაიწყო და უეჭველად უფრო დიდ მასშტაბს შეიძენს:*

*გუშინ ქვეყნის პრეზიდენტის მრჩეველმა თემურ მირიანაშვილმა ჟურნალისტებს სახელდახელო პრესკონფერენციაზე გვიხმო და ეს განაცხადა:*

„ყველას კარგად მოგეხსენებათ, თუ რა ქაოსი და რამდენი სიბინძურეა დღეს ჩვენს ფეხბურთში. დროა, ყველაფერს ბოლო მოეღოს. არცთუ დიდი ხნის წინ თბილისის „დინამოში“ და ზოგადად ქართულ ფეხბურთში არსებული მდგომარეობის შესახებ სახელმწიფო კომისიამ საფუძვლიანი მოკვლევა ჩაატარა, რასაც შესაბამისი დასკვნაც მოჰყვა. სწორედ ამ დასკვნის გამოძახილია ის, რაც ორიოდე დღის წინ ქვეყნის პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის და სახელმწიფო მინისტრის მოადგილის თედო ისაკაძის შეხვედრისას გადაწყდა. პრეზიდენტმა მოიწონა ისაკაძის წინადადება, მალე ოფიციალური დადგენილებაც გაფორმდება და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი სახელმწიფო მინისტრი, ანაც სხვა რომელიმე მინისტრი იქნება. ფედერაციას სათავეში მთავრობის კაცი ჩაუდგება. ეს იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლებამ გადაწყვიტა, ფეხბურთი სახელმწიფოებრივ დონეზე დადგეს. საქართველოში განხორციელდება ხორვატიის და უკრაინის მოდელი. ამ მოდელმა კი რა შედეგებიც მოუტანა ამ ორ ქვეყანას, ფაქტები მეტყველებს. ასე რომ, მოკლე დროში იუსტიციის სამინისტრო მიიღებს შესაბამის კანონს, რომლის თანახმადაც სფფ-ის პრეზიდენტის არჩევნები სულ სხვა სისტემით ჩატარდება. ყველაფერი მოხდება გამჭირვალედ. ფეხბურთის ფედერაციის სათავეში მოექცევა სახელმწიფოს ერთ-ერთი ჩინოსანი, რომელიც თავის გვერდით შემოიკრებს საქმის მცოდნე ვეტერან ფეხბურთელებს, ფეხბურთის სპეციალისტებს და ქართულ ფეხბურთში არსებული მდგომარეობა რადიკალურად შეიცვლება“.

ეს არის ჩვენი ფეხბურთის ჭაობიდან გამოყვანის ერთადერთი რეალური გზაო, დასძინა მირიანაშვილმა და შეკითხვებისთვის მოემზადა.

**— ამ სიტყვიერი გადაწყვეტილების ოფიციალურად დაკანონება როდისთვის არის მოსალოდნელი?**

— ეს არის უალტერნატივო გამოსავალი და პრეზიდენტი აუცილებლად მოაწერს ხელს შესაბამის დადგენილებას. დაახლოებით ექვს თვეში ყველაფერი მოგვარდება.

**— ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზე კონკრეტული პიროვნება თუა შეგულებული?**

— ჯერჯერობით არ არის გადაწყვეტილი, ეს შეიძლება იყოს თავად სახელმწიფო მინისტრი გია არსენიშვილი, ან მისი მოადგილე თედო ისაკაძე, ანაც რკინიგზის დეპარტამენტის თავმჯდომარე აკაკი ჩხაიძე, შეიძლება სხვა მინისტრიც. გიმეორებთ, ყოველ შემთხვევაში, ეს პიროვნება იქნება სახელმწიფო თანამდებობის პირი.

**— რატომ ფიქრობთ, რომ უალტერნატივო გამოსავალია. სახელმწიფო თითქმის ყველა სფეროში კრახს განიცდის და რაღა მაინცდამაინც ფეხბურთს ააყვავებს. თანაც, რა გარანტიაა იმისა, რომ ფედერაციის პრეზიდენტის პოსტის შემთავსებელი უფრო მეტ ფხას გამოიჩენს ახალ საქმეში?**

— ამ მოდელით სახელმწიფო ფეხბურთს გადაარჩენს. სფფ-ის პრეზიდენტის გვერდით წარსულში ცნობილი ფეხბურთელები იქნებიან, მაგალითად, ილია დათუნაშვილი, ვლადიმერ ბარქაია, რამაზ შენგელია, თენგიზ სულაქველიძე და სხვები რომ არიან, ამ ხალხს ბევრი პრობლემის მოგვარება შეუძლია და ხელისუფლების მხარდამხარ ამას შეძლებენ კიდეც.

**— თქვით, რომ იუსტიციის სამინისტრო შესაბამის კანონს მიიღებს, რის საფუძველზეც განსხვავებული რეგლამენტით ჩატარდება სფფ-ის ყრილობა და ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები. რა სახის იქნება ეს კანონი?**

— ამ კანონის თანახმად, პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს ორმოცდაათამდე დელეგატი და არა ოთხასამდე ამომრჩეველი, როგორც აქამდე იყო. შესაბამისად, არჩევნები ჩატარდება ობიექტურად. ჩვენ არ წავაგებთ ამ ყრილობას.

**— ამ მოდელის თაობაზე საუბარი თუ გქონდათ სფფ-ის დღევანდელ ხელმძღვანელობასთან.**

— არანაირი, რა საჭიროა. მერაბ ჟორდანიას პიროვნულად უდიდეს პატივს ვცემ, მაგრამ მისი ადგილი დღეს ფედერაციის სათავეში არ არის.

**— კი მაგრამ, სახელმწიფო ამ შემთხვევაში ღიად აპირებს ფედერაციის საქმიანობაში ჩარევას. ფედერაცია კი ხელისუფლებისგან დამოუკიდებელი ორგანიზაციაა და მხოლოდ ფიფა-უეფას კანონებს ემორჩილება.**

— სფფ-ის ხელმძღვანელობას ალტერნატივა არ ექნება, მაშინ ადგნენ და დაეტაკონ სახელმწიფოს.

ამასთან დაკავშირებით, ცხადია, პოზიციის დაფიქსირება ვთხოვეთ სფფ-ის ხელმძღვანელებსაც. ვალერი ჩოლარიამ — ფედერაციის გენერალურმა მდივანმა, კომენტარისგან გუშინ თავი შეიკავა. ხვალ საქმეში რეალურად გავერკვევი და ჩვენს პოზიციას ამის შემდეგ გამოვხატავო, გვითხრა ჩოლარიამ. ასე რომ სფფ სათქმელს დღეს იტყვის.

ჩვენის მხრივ კომენტარისგან ჯერჯერობით თავს შევიკავებთ. მკითხველს მხოლოდ ერთს შევახსენებთ — სფფ-ის საქმიანობაში ჩარევის პრეცედენტი ამ ოთხი წლის წინათაც იყო. მაშინ სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე კახი ასათიანმა უფლებამოსილება შეუჩერა ფედერაციის მაშინდელ პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცს და გენერალურ მდივან დავით კვინიკაძეს, მაგრამ საქმეში ფიფა ჩაერია და ქართული ფეხბურთი იზოლაციის წინაშე დადგა. მაშინ საქართველოს ხელისუფლებამ უკან დაიხია. რა მოხდება ამჯერად?

**ბაატა ძვანტალიანი**

# შევარდნაძე უკანასკნელად გააფრთხილეს

## ქუთაისელები ქვის სროლაშიც ჩემპიონები არიან



ოთარ გაბელია დისციპლინარებმა მკაცრად დასაჯეს

**გუშინ** ფიზიკური კულტურისა და სპორტის აკადემიაში ახალდაწყებული სეზონის პირველი სადისციპლინო კომიტეტის სხდომა ჩატარდა. უმაღლეს ლიგასთან შედარებით კომიტეტს უფრო მეტი პირველლიგელი დამნაშავე ჰყავდა დასასჯელი, თუმც ყველაზე დიდი სასჯელი მაინც უმაღლესლიგელმა მიიღო. თბილისის „მერანის“ მთავარი მწვრთნელი ოთარ გაბელია პირველ ტურში „გურია“ — „მერანის“ მატჩის დროს შეხვედრის არბიტრმა მალხაზ მაისურაძემ მსაჯებისა და სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის გინებისთვის მე-15 წუთზე გააძევა. გაბელიამ სამი ტური უკვე გამოტოვა, თუმც სადისციპლინო კომიტეტმა მას ერთი თამაშით დისკვალიფიკაცია კიდევ დაუმატა და 200 ლარითაც დააჯარიმა. ამასთან გაბელია მკაცრადაც გაფრთხილეს.

უმაღლეს ლიგაში კიდევ ორი გუნდი დაისაჯა. მესამე ტურში „გურია“ — „ტორპედოს“ მატჩის შემდეგ ლანჩხუთელი გულშემატკივრები მსაჯთა ოთახში შეცვივდნენ. ამის გამო ლანჩხუთის „ევგრაფი შევარდნაძის“ სტადიონს უკანასკნელი გაფრთხილება მიეცა.

გააფრთხილეს ქუთაისის „ტორპედოც“. ჩემპიონს გულშემატკივართა მხრიდან მოედანზე ქვების სროლისთვის აუწიეს ყური. შეგახსენებთ, რომ „ტორპედოსთვის“ ეს პირველი შემთხვევა სულაც არაა. წინა წლებში ქუთაისელ გულშემატკივრებს არაერთხელ „გამოუჩენიათ“ თავი ამგვარი საქციელით.

რაც შეეხება პირველ ტურში „ტორპედო“ — „ლოკომოტივის“ შეხვედრაში გაძევებულ თბილისელ დავით ბაქრაძეს, მან ერთი მატჩი უკვე გამოტოვა და, შესაბამისად, სასჯელიც მოხდილად ჩაეთვალა.

მოგეხსენებათ, 14 აგვისტოს პირველ ლიგაში პირველი ტურის მხოლოდ სამი მატჩი გაიმართა (დანარჩენი სამი გადაიდო). ამ სამ მატჩში მსაჯებმა ოთხი ფეხბურთელი გააძევეს. მივყვეთ თანმიმდევრობით: „ხობი“ — „მილანის“ შეხვედრაში არბიტრმა სერგო კვარაცხელიამ ერთმანეთის უხამსი სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფისთვის სტუმარმასპინძელი სოსო ბარამიძე და თენგიზ ჭიჭინაძე გააძევა. სადისციპლინო კომისიამ ორივეს ორ-ორ მატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცა და 100-100 ლარითაც შეუთხელა ჯიბე.

„დინამო“ — „ლოკომოტივი 3“-ის შეხვედრაში რკინიგზელ დავით მორჩილაძეს მსაჯის გინებისთვის წითელი ბარათი აუფრიალეს. მორჩილაძეს სამი თამაშის გამოტოვება მოუწევს და 150 ლარსაც შეელევა.

პირველი ტურის ბოლო მატჩში დ.-დაქალაქურ „მერანი 2“-სა და თსუ-ს შორის სტუდენტი არჩილ სოხაძე უხეში თამაშისთვის გააძევეს. სოხაძე ორ თამაშს გამოტოვებს და შესაბამისად 100 ლარსაც გადაიხდის.

დაბოლოს, 19 აგვისტოს II ტურში „ლოკომოტივი 3“ — „ხობის“ მატჩში ორი ყვითელი ბარათი მიიღო ხობელმა კალისტრატე ხურცილავამ. ამიტომაც იგი ერთ შეხვედრას გამოტოვებს და 50 ლარს გადაიხდის.

**კახა ზალამბერიძე**

# ჩემპიონთა ლიგა

## მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი. მეორე მატჩები

*ლევერკუზენი (გერმანია)* 3:0 ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) (0:0)
1:0 ნოივილი (13), 2:0 კირსტენი (31), 3:0 ნოივილი (59)
ლევერკუზენი: ბუტი, ნოვოტნი, ლუსიო, პლასენტე, რამელო, შნაიდერი (ვრანიეში 84), სებესკენი (ზივკოვიჩი 79), ბასტურკი, ბალაკი, კირსტენი (ოჯიგვე 67), ნოივილი
მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი
ცრვენა ზვეზდა: დისლენკოვიჩი, მარკოვიჩი, მატიაშევიჩი, გვოზდენოვიჩი, ვუკომანოვიჩი, ლალატოვიჩი, სპალევიჩი, ლერინცი (გლოგოვაცი 79), აჩიმოვიჩი (ბრატიჩი 56), დ. ილიჩი (ს. კოციჩი 67), ბოშკოვიჩი
მწვრთნელი: სლავოლიუბ მუსლინი
გაფრთხილება: ბოშკოვიჩი, ვრანიეში
მსაჯი: დომენიკო მესინა (იტალია)
22 500 მაყურებელი

*ბარსელონა (ესპანეთი)* 1:0 ვისლა (პოლონეთი) (4:3)
1:0 ლუის ენრიკე (73)
ბარსელონა: ბონანო, ანდერსონი, ხავი, სერხი, კრისტენსალი, პუიოლი, როჩემბაკი (ლუის ენრიკე 56), კოკუ (გაბრი 84), სავიოლა (ჯოვანი 78), რივალდო, კლუივერტი
მწვრთნელი: კარლოს რექსაჩი
ვისლა: შარნატი, სიმკოვიაკი, ბასჩინსკი, კოშოვსკი (ნიჩინსკი 76), გლოვაცკი, მოშკალი, პატერი (ზაიაცი 70), ჟურავსკი, ჟერვეცი (კულავიკი 82), მოსკალევიჩი, სუნდაი
მწვრთნელი: ფრანტიშეკ ცმუდა
გაფრთხილება: გლოვაცკი, ბასჩინსკი, ხავი
მსაჯი: ჟილ ვესიე (საფრანგეთი)
58 233 მაყურებელი

*დინამო (კიევი, უკრაინა)* 1:1 სტიაუა (რუმინეთი) (4:2)
0:1 ნიაგა (30), 1:1 მელაშჩენკო (46)
დინამო: ფილიმონოვი, გოლოვკო, ვაშჩუკი, ხაცკევიჩი, ბოდნარი, ნესმაჩნი, ჯოანე, გავრანჩიჩი, იდაჰორი (პეევი 68), ბელკევიჩი, მელაშჩენკო (სერებრენნიკოვი 79)
მწვრთნელი: ვალერი ლობანოვსკი
სტიაუა: ლუნგი, დუმიტრუ, მიუ, ბაჩიუ, ლინკარი, სტოიკა, ნიაგა (ვინტილა 82), ტრიკა (ნგასამი 60), ბალანი, დანჩიულესკუ (პიცურკა 71), მიტრიტა
მწვრთნელი: ვიქტორ პიცურკა
გაფრთხილება: ლინკარი, მიტრიტა, გოლოვკო, ვინტილა
გაძევება: ბაჩიუ (51)
მსაჯი: გრემ ბარბერი (ინგლისი)
16 800 მაყურებელი

*ლივერპული (ინგლისი)* 4:1 ჰაკა (ფინეთი) (5:0)
1:0 ფაულერი (37), 1:1 კოვაჩი (45), 2:1 რედნაპი (50), 3:1 ჰესკი (57), 4:1 უილსონი (83ს.კ.)
ლივერპული: არპეშადი, ვინალი, რაიტი, ტრაორე, ჰიპია (ბაბელი 66), დიომედი, რედნაპი (ჯერარდი 72), ბისკანი, ბარმბი, ჰესკი (ლიტმანენი 60), ფაულერი
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
ჰაკა: ვილნროტერი, ბაიჩი (კოივურანტა 81), კარიალაინენი, აალტო, რუპანენი (ინანენი 66), ტორკელი, მ. კოვაჩი, დ. უილსონი, ოკონენი, კანგასკორპი, პოგიოლი (ო. ივანოვი 78)
მწვრთნელი: კეიტ ამსტრონგი
გაფრთხილება: კანგასკორპი
მსაჯი: ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)
31 602 მაყურებელი

*მალიორკა (ესპანეთი)* 2:0დ.დ. (1:0) ჰაიდუკი (ხორვატია) (0:1)
1:0 ეტოო (25), 2:0 ლუკე (95)
მალიორკა: ლეო ფრანკო, მიგელ სოლერი, ფერნანდო ნინიო, ოლაიზოლა, მარტინი, ნადალი, იბაგასა (რიერა 77), ნოვო (კარლოსი 71), ენგონგა (ლეო ბიაჯინი 90), ეტოო, ლუკე
მწვრთნელი: ბერნდ კრაუსი
ჰაიდუკი: პლეტიკოშა, საბლიჩი, დოლონგა, ვეიჩი, მუსა (ცელისჩაკი 94), მ. ბილიჩი, ბოშნიაკი (დერანია 75), ვუკოვიჩი, მისე, სრნა, ანდრიჩი (პირია 68)
მწვრთნელი: ნენად გრაჩანი
გაფრთხილება: დოლონგა, ანდრიჩი, ბილიჩი, ცელისჩაკი, ოლაიზოლა
მსაჯი: ჰიუ დალასი (შოტლანდია)
23 500 მაყურებელი

*ლაციო (იტალია)* 4:1 კოპენჰაგენი (დანია) (1:2)
1:0, 2:0 კრესპო (48, 63), 3:0 კლაუდიო ლოპესი (64), 3:1 ზუმა (81), 4:1 ფიორე (90)
ლაციო: პერუცი, ნეგრო (ფავალი 35), ნესტა, მიხაილოვიჩი (კოლონეზე 60), პანკარო, პობორსკი (კასტრომანი 53), ფიორე, სიმეონე, მენდიეტა, კრესპო, კლაუდიო ლოპესი
მწვრთნელი: დინო ძოფი
კოპენჰაგენი: კილშტედტი, რიტერი, მადსენი (ფრედგაარდი 73), პოულსენი, იენსენი, ლარსენი, ტ. იონსონი (ფერნანდესი 67), ტორნინგერი (ბისგაარდი 66), ლაურსენი, ზუმა, ლონსტრუპი
მწვრთნელი: კენტ კარლსონი
გაფრთხილება: რიტერი
მსაჯი: ჰელმუტ კრუგი (გერმანია)
37 133 მაყურებელი

# სიძლიერის კანონი

## ლიგის კარი ლივერპულმაც შეაღო


REUTERS

ლივერპული — ჰაკა. ფინელთა რბევა რობი ფაულერმა (მარჯვნივ) დაიწყო

„დიდი მადლობა ბიჭებს. მათ უკრაინას კიდევ ერთი ჩემპიონთა ლიგა აჩუქეს. კიევის „დინამო“ ლიგის გამოცდილი მებრძოლია, ამიტომ ჯგუფში არავისი შეგვეშინდება. თუმცა ნებისმიერი მეტოქის წინააღმდეგ ძალიან სერიოზულად უნდა მოვემზადოთ“ — კიეველთა მწვრთნელი ალექსეი მიხაილიჩენკო ამ სიტყვებს კმაყოფილი სახით ამბობდა. რატომაც არა, ბოლო ორ წელიწადში კიევმა თითქმის ყველა წამყვანი ფეხბურთელი გაყიდა, მაგრამ სანაცვლოდ მავანი აღმოსავლეთევროპელი ახალგაზრდები შეარჩია და აი, ისევ ლიგაში მოხვდა. რუმინული „სტიაუა“ მისი წამქცევი ვერ გამოდგა.

კარგით, კიევს თავი დავანებოთ. ბოლო დროს ლიგაში ხვდებიან ჰიკ-ები, „მარიბორები“, „ჰერენვენები“ და „ჰელსინგბორგები“... ჩვენ კი ვინმე „კოპენჰაგენთან“ საპატიო მარცხიც ჩვეულებრივ ამბად გვექცა. ისეთი ჯგუფი რომ არსებობდეს, ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზეც რომ არ დაუშვებდნენ და თავისთვის ამაიმუნებდნენ, აი, ჩვენებურთა სიქველე იქ უნდა გენახათ, მაგრამ...

მაგრამ დავუბრუნდეთ გუშინწინდელ ამბებს. აბა, წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა საქართველოში „კოპენჰაგენს“ „ლაციო“ რომ გამოეგდო, მაგრამ განა ზღაპრები მართლა არსებობს? რომაელებმა 4:1 მოუგეს „ტორპედოს“ შემარცხვენელთ და ლიგაში კუთვნილი ადგილი დაიკავეს. თუმცაღა, ეს გამარჯვება ძვირად დაუჯდათ, რადგან ნეგრო და მიხაილოვიჩი სერიოზულად დაუშავდათ.

პირველი ტაიმი მეტ-ნაკლებად თანაბარი გამოდგა და გოლი არ გასულა. დინო ძოფმა ახალშეძენილი გაისკა მენდიეტაც ათამაშა, მაგრამ თავიდან ამას შედეგი არ მოუტანია. მერე კი გაიხსნა, არგენტინელების, კლაუდიო ლოპესისა და ერნან კრესპოს ორი გოლით რომაელები სამი ბურთით დაწინაურდნენ. ზუმას ერთმა საპასუხომ თითქოს სტუმართა წისქვილზე დაასხა წყალი, მაგრამ არაფერი გამოვიდა, ფიორეს გვიანმა გოლმა ყველაფერს თავისი სახელი დაარქვა.

ლიგაშია ინგლისური „ლივერპულიც“. საკვირველია არა? ჩემპიონთა თასის ოთხჯერ მომგები და 70-80-იანი წლების ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი ლიგაში პირველად მოხვდა...

ლივერპულელებმა ფინ[illegible] ჰაკა-ს ჯამში 9:1 მოუგეს — 5:0 სტუმრად და აი, ახლა, 4:1 შინ. მასპინძლებს თურმე თავი დიდად არ მოუკლავთ, მაგრამ ფინელთა წინააღმდეგობა მაინც იოლად გაუტეხავთ. პირველი, მწვრთნელისგან შერისხულმა რობი ფაულერმა გაიტანა, ვინც ბოლო დროს მხოლოდ საერთაშორისო მატჩების მოთამაშედ ყალიბდება. „ჩალდი ლივერპულელის“ გოლმა „წითლები“ მოადუნა და ჰაპასუხოც გაუშვეს, მაგრამ, ფარდობითი წონასწორობა დიდხანს არ გაგრძელებულა, თხუთმეტი თვის უთამაშებელმა, მინდორზე ძლივს დაბრუნებულმა რედნაპმა მეორე შეაგდო, მერე „ვესტ ჰემთან“ პრემიერლიგის პირველ ტურში დაწუნებულმა ჰესკიმ გაასამა, ბოლოს კი ჰაკელმა უილსონმა სულაც თავის კარში შეაგდო. შარშანდელის მსგავსად ინგლისს ლიგაში წლეულსაც სამი გუნდი ეყოლება — „მანჩესტერი“, „არსენალი“ და „ლივერპული“.

„მალიორკა“ „ლივერპულზე“ გაცილებით უსახელო გუნდია, თუმცა ისიც პირველად ითამაშებს ლიგაში. კუნძულელებს ერთობ გაუჭირდათ ხორვატული „ჰაიდუკის“ ძლევა. დამატებითი დროც კი დასჭირდათ, მაგრამ მაინც იძალეს. პირველ ტაიმში პალმადემალიორკელთა კამერუნელმა სამუელ ეტოომ შეაგდო. ამის მიუხედავად, ხორვატები მაინც მთელი გუნდით იცავდნენ თავს და ეტყობა საქმის პენალტებამდე მიყვანა უნდოდათ, მაგრამ დამატებითის მეხუთე წუთზე ალბერტო ლუკეს თავურმა ყველაფერი გადაწყვიტა.

„მალიორკა“ ესპანელთა მეოთხე წარმომადგენელია ლიგაში. მოგეხსენებათ, „რეალსა“ და „დეპორტივოს“ პირდაპირი საგზურები ჰქონდათ, „ბარსელონამ“ კი ლუის ენრიკეს გოლით შინაც მოუგო პოლონურ „ვისლას“ და საკვალიფიკაციო წრიდან ძირითად ჯგუფში ფავორიტად გადავიდა. ლუის ენრიკემ რივალდოსა და სავიოლასთან გათამაშებული ჩინებული კომბინაციის შემდეგ გაიტანა.

ალბათ ოთხი გუნდი ეყოლებათ გერმანელებსაც. თუ წუხელ დორტმუნდში „შახტარს“ ღმერთი არ გაუწყრა, მათიას ზამერის აწყობილი „ბორუსია“ უპრობლემოდ უნდა შეერთებოდა მთავარ ჯგუფს.

„ლევერკუზენმა“ კი სამშაბათს დიდებულად მოათავა საქმე. ბელგრადში უგოლო ფრის მერე, „ცრვენა ზვეზდას“ შინ 3:0 მოუგო. იუგოსლაველთა განადგურებას სათავე და ბოლო ოლივერ ნოივილმა დაუდო. შესვენებამდე 15 წუთით ადრე კი ბებერმა ულფ კირსტენმაც თავისი შეაგდო.

აი, ასეთი გახლდათ სამშაბათის სალიგო საღამო. მთავარი კი ის იყო, რომ მოულოდნელი არაფერი მომხდარა და სიძლიერის კანონი არ დარღვეულა — მომგებმა მოიგო, წამგებმა წააგო.

**სოლომონ ბულისკშვილი**

# უეფა ფრანგებით გამდიდრდა

## ინტერტოტოს თასი 2001

### ფინალური ეტაპი. მეორე მატჩები

*ასტონ ვილა (ინგლისი)* 4:1 ბაზელი (შვეიცარია) (1:1)
0:1 ჩიპერფილდი (30), 1:1 ვასელი (44), 2:1, 3:1 პაბლო ანხელი (55, 79), 4:1 ჟინოლა (83)
ასტონ ვილა: შმაიხელი, დილანი, ალფაი, ბერი, სტონტონი (სამუელი 67), სტოუნი, ბოატენგი, ჰენდრი (კაჩლული 65), ჟინოლა, ვასელი, პაბლო ანხელი (დაბლინი 80)
მწვრთნელი: ჯონ გრეგორი
ბაზელი: ცუბერბიულერი, ენო, კროიცერი (კნეზი 86), მ. იაკინი, კრაუერი (ბარბერისი 67), ვარელა, ჩიპერფილდი, ჰუგელი, ჰ. იაკინი, კუმანტარაკისი, ხიმენესი (ტუმი 84)
მწვრთნელი: კრისტიან გროსი
გაფრთხილება: ვარელა
მსაჯი: კ. ლარსონი (დანია)
39 593 მაყურებელი

ნიუკასლი (ინგლისი) 4:4 *ტრუა (საფრანგეთი)* (0:0)
1:0 სოლანო (2), 1:1 ლერუა (25), 1:2 გუსე (28), 1:3, 1:4 ბუტალი (47, 61), 2:4 ამეობი (65), 3:4 სპიდი (70პ), 4:4 ჰიუზი (90)
ნიუკასლი: გივენი, ბარტონი (ობრაიენი 65), დაბიზასი, ჰიუზი, ელიოტი, სოლანო (ლუა-ლუა 65), ლი, სპიდი, კორტი, ბელამი, ამეობი
მწვრთნელი: ბობი რობსონი
ტრუა: ერტები, მენირი, ბრაჯა, ო. ტომასი, ჰამედი, საიფი (ტურენე 80), მ. ლერუა, როტენი, ზავანო, ბუტალი (ს. ჯუკიჩი 71), გუსე (გაზი 57)
მწვრთნელი: ალენ პერენი
მსაჯი: ფ. ტრენსი (იტალია)
46 557 მაყურებელი

ბრეშა (იტალია) 1:1 *პარი სენ ჟერმენი (საფრანგეთი)* (0:0)
0:1 ალოიზიო (73), 1:1 ბაჯო (79პ)
ბრეშა: კასტელაცი, პეტრუცი, დიანა (მ. ესპოზიტო 77), კალორი, ბონერა, კოზმინსკი (დელ ნერო 84), ა. ფილიპინი, ე. ფილიპინი, ილანა, ტარე, ტონი (რ. ბაჯო 46)
მწვრთნელი: კარლო მაცონე
პარი სენ ჟერმენი: ლეტიზი, დომი, მენდი (დიუკრო 83), კრისტობალი, პოჩეტინო, ჰაინცე, ე. სისე (პოტილიონი 59), დეუ, ოკოჩა, ანელკა (არტეტა 28), ალოიზიო
მწვრთნელი: ლუის ფერნანდესი
გაფრთხილება: დეუ, კრისტობალი, პეტრუცი, პოჩეტინო, ბაჯო
მსაჯი: მ. მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)
23 000 მაყურებელი




ბრაჟას „ტრუამ“ ბელამის (№4) „ნიუკასლიც“ მოიტოვა

**ძნელად** თუ წარმოიდგენდა „სენტ ჯეიმსიზ პარკზე“ მისული 47 ათასამდე ქომაგი, რომ რვა გოლს და თავის ჯილას უეფას თასის მიღმა ნახავდა.

„ნიუკასლმა“ ოთხ დღეში ორი ფრე ითამაშა და თუ შაბათს „ჩელსისთან“ სტუმრად მოპოვებული ქულა აქტივში ჩაეთვალა, სამშაბათს ერთობ გაწბილებული დარჩა. არადა, დებიუტი შთამბეჭდავი იყო, სოლანომ მეორე წუთზე გახსნა ანგარიში და ამან „კაჭკაჭები“ დაამშვიდა. მერე კი ლერუამ და გუსემ შესვენებაზე „ტრუა“ გაიყვანა მოგებული.

ფანტასტიკურ მეორე ტაიმში რობსონის შეგირდებმა იგიჯეს და სამბურთიანი ჩამორჩენა გაათანაბრეს, თუმცა აარონ ჰიუზი ამაოდ ჩქარობდა 90-წუთზე მეტოქის კარის ბადიდან ბურთის გამოღებას — უეფაზე „ტრუა“ გავიდა. უეფას თასზეა მეორე ფრანგული გუნდი — „პარი სენ ჟერმენიც“. პარიზელებისთვის „ბრეშას“ სასარგებლოდ მსაჯის მიერ გამოგონილ პენალტს ხელი არ შეუშლია, მანამდე ალოიზიოს გამსვლელი გოლი უკვე გაეტანა.

„ვილა პარკი“ შოკში ჩავარდა. 30-წუთზე ბაზელელმა ჩიპერფილდმა ითავხედა და ლეგენდარულ შმაიხელს ბურთი კარიდან გამოატანინა. ეს იყო ერთადერთი, რისი გაკეთებაც სტუმრებმა შეძლეს. მერე „ვილამ“ აიწყვიტა და ოთხი უპასუხო გოლი გაუტანა შვეიცარიელებს. აქედან მეოთხე დავიდ ჟინოლასი იყო. ეტყობა, ფრანგსა და „ასტონ ვილას“ მენეჯერ ჯონ გრეგორის შორის კონფლიქტი მოგვარდა. სხვა რა უნდა ვიფიქროთ, როცა ჟინოლამ 90 წუთი დაჰყო მოედანზე.

**ბაატა ძგანტალიანი**

## ინგლისი

### პრემიერლიგა. II ტური

**არსენალი 1:2 ლიდსი**

0:1 ჰარტი (29), 1:1 ვილტორდი (33), 1:2 ვიდუკა (53)
არსენალი: სიმენი, ლორენი, ს. კემპბელი, ადამსი, ეშლი კოული, ლიუნგბერგი (ჯეფერსი 77), ვიეირა, პარლოუ (ბერგკამპი 66), პირესი, ანრი, ვილტორდი (ვან ბრონკჰორსტი 77)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
ლიდსი: მარტინი, მილსი, რ. ფერდინანდი, მატეო, ჰარტი, ბოიერი, ბაკე (გ. კელი 89), დაკური, კოუელი (ჯუდგეიტი 89), ვიდუკა, ა. სმიტი (ბეტი 47)
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
გაფრთხილება: ანრი, კოული, პირესი, ჯეფერსი, ბაკე, დაკური, მილსი, ბოიერი, ვიდუკა, მილსი, ბოიერი
გაძევება: ბოიერი (79), მილსი (87)
მსაჯი: ჯ. უინტერი
38 062 მაყურებელი

**ბოლტონი 1:0 მიდლსბრო**

1:0 რიკეტსი (39)
ბოლტონი: იასკელაინენი, ბერნესი, ჩარლტონი, ბერგსონი, უიტლოუ, ჰანსენი, ფრანდსენი, ვარჰურსტი (საუთჰოლი 72), გარდნერი, კ. ნოლანი (მარშალი 90), რიკეტსი (ჰოლდსუორთი 76)
მწვრთნელი: სემ ოლიარდისი
მიდლსბრო: შვარცერი, ფლემინგი, კუპერი, ეჰიოგუ, საუთგეიტი, მასტო (ოკონი 82), ინსი, გრინინგი, დინი, რიკარდი (უინდასი 79), ჟობი
მწვრთნელი: სტივ მაკლარენი
გაფრთხილება: უიტლოუ, ეჰიოგუ
მსაჯი: ს. დანი
20 747 მაყურებელი

**იფსვიჩი 3:1 დერბი ქაუნთი**

1:0 ფინიდი (14), 2:0 ნეილორი (48), 3:0 ფინიდი (76), 3:1 რავანელი (84)
იფსვიჩი: სერენი, მაკინი, კლაპამი (უილნისი 62), ჰრეიდარსონი, ბრემბლი, ჰოლანდი, ჯ. რაიტი, ფინიდი, როიზერი, ნეილორი (ა. არმსტრონგი 79), მარკუს სტიუარტი (კუნაგო 65)
მწვრთნელი: ჯორჯ ბარლი
დერბი ქაუნთი: პოომი, დაინო (მიურეი 77), ჰიგინბოთემი, რიგოტი, ბოერტიენი, ბ. ონილი, დ. პაუელი (დ. ბარტონი 54), ბარლი, ს. ჯონსონი, რავანელი, კრისტი
მწვრთნელი: ჯიმ სმიტი
გაფრთხილება: პაუელი, ჰიგინბოთემი, ბოერტიენი
მსაჯი: ე. უოლსტენჰოლმი
21 197 მაყურებელი

# ისევ ცხრიანი
## ლიდსი ჰაიბერიზე იმარჯვებს


REUTERS ლონდონიდან

არსენალი — ლიდსი. მარკ ვიდუკას (შუაში) გოლმა ლონდონელები წელში გატეხა

ავსტრალიელი მარკ ვიდუკას გოლმა გადაწყვიტა იმ მატჩის ბედი, რომელიც ცხრა მოთამაშით დაასრულა „ლიდსმა“ „ჰაიბერიზე“, მაგრამ მაინც მოუგო „არსენალს“ 2:1.

შეხვედრის 53-ე წუთზე გატანილ ვიდუკას გოლს, რომელიც ჰარი კიუელის გარღვევას მოჰყვა, გრძნობათა იმგვარი აზვირთება მოჰყვა მინდორზე, რომ მსაჯ ჯეფ უინტერს ყვითელი ბარათი აღარც კი შეუნახია, უბრალოდ, ხელში ეჭირა და ფეხბურთელებს უფრიალებდა. ამდენ ყვითელს შორის ორი წითელი ამოიზარდა, ორ-ორი გაფრთხილების გამო მოედანი მხოლოდ ლიდსელებმა ლი ბოიერმა და დენი მილსმა დატოვეს. და მაინც, „ლიდსმა“ გაუძლო, გაიმარჯვა და თითქოს თქვა, რომ სულ შემთხვევით ვერ მოხვდა ჩემპიონთა ლიგაში.

ეს მეორე ტაიმში იყო, პირველში კი, ანგარიში იორკშირელებმა გახსნეს. საჯარიმოების ოსტატმა იან ჰარტმა მეთოფეებს კედლის აღმართვა არ აცალა და ანგარიში გახსნა. ოთხ წუთში სილვენ ვილტორდმა თავი შეაგება ეშლი კოულის ჩაწოდებულს.

ასეთი იყო ლონდონური თამაშის ერთგვარად გაგრძელება წინა დღის, ცხრა კაცით თამაშის ტრადიცია. მეორე ტურის გამხსნელ თამაშში „ტოტენჰემსაც“ ხომ ორი კაცი გაუძევეს „გუდისონ პარკზე“.

პრემიერლიგას კი კვლავ ძველი ლიდერი ჰყავს: „ბოლტონმა“ მაიკლ რიკეტსის ერთადერთი გოლით მოუგო „მიდლსბროს“ და ცხრილის სათავეში დარჩა ექვსი გატანილი და არც ერთი გაშვებული გოლით. რიკეტსისთვის ეს მეორე გოლი იყო მის მეორე პრემიერლიგურ მატჩში. ასე რომ, სამ ბოლტონელს ორ-ორი გოლი აქვთ გატანილი ორ ტურში.

ამასობაში თავისი პირველი პრემიერლიგური გოლი გაიტანა და დუბლიც შეასრულა „იფსვიჩში“ ესპანეთიდან გადმობარგებულმა განთქმულმა ნიგერიელმა ჯორჯ ფინიდიმ. „იფსვიჩმა“ 3:1 მოუგო „დერბის“, რომელსაც ბრაიან ონილიც გაუგდეს და თამაშის ხსნის არანაირი საშუალება არ გასჩენია.

**ირაკლი გამყრელიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოლტონი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:0 | 6 |
| ლიდსი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| ევერტონი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| არსენალი | 2 | 1 | 0 | 1 | 5:2 | 3 |
| იფსვიჩი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| მანჩესტერი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 3 |
| ლივერპული | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| სანდერლენდი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| დერბი ქაუნთი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 | 3 |
| ტოტენჰემი | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| ჩელსი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ნიუკასლი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ასტონ ვილა | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ფულემი | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | 0 |
| ვესტ ჰემი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| ჩარლტონი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| ბლექბერნი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| საუთჰემპტონი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| მიდლსბრო | 2 | 0 | 0 | 2 | 0:5 | 0 |
| ლესტერი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:5 | 0 |

## გერმანია

### ბუნდესლიგა

**გადადებული მატჩი**

**შალკე 3:1 ჰანზა**

1:0 იაკობსონი (9ს.კ.), 1:1 შრიოდერი (44), 2:1 აგალი (60), 3:1 ბიომე (90მ)
ბიომემ ვერ გაიტანა პენალტი (81, მეკარე)
შალკე: რეკი, ჰაიტო, ვალდოხი, ვან კერკჰოვენი, ვან ჰუგდალემი (ვილმოტსი 55), კმეტში, ვერმანტი, მიოლერი (სანდი 84), ბიომე, აგალი, ე. მპენზა (ასამოა 29)
მწვრთნელი: ჰუუბ სტევენსი
ჰანზა: შობერი, ჰილი, შრიოდერი (ბენკენი 88), იაკობსონი, რიდლევიჩი, ლანცი (ვაისჰაუპტი 85), ჰირში, მაული, დი სალვო (არვიდსონი 82), სალუ, ბაიერლე
მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი
გაფრთხილება: მიოლერი, შრიოდერი, ასამოა, იაკობსონი, ჰირში, რიდლევიჩი, ასამოა
გაძევება: ბაიერლე (49), ასამოა (58)
მსაჯი: კემლინგი
60 204 მაყურებელი

# უუუჰ, ჰუუუზ!..
## შალკემ ახალ სტადიონზე პირველად მოიგო

ოთხი გოლი, ორი გაძევება, ორი პენალტი და 60 204 აღელვებული ქომაგი გელზენკირხენის ახალ „არენაზე“. ასეთია პირველი ტურიდან გადმოტანილი „შალკე“ — „ჰანზას“ მატჩის დინამიკა.

ბუნდესლიგის შარშანდელმა ვიცეჩემპიონმა „შალკემ“, წლეულს პირველად გაიმარჯვა, სატურნირო ცხრილში რვა პუნქტით აიწია და მერვე ადგილზე დადგა.

მასპინძელთა მწვრთნელმა ჰუუბ სტევენსმა, „ლევერკუზენთან“ წინა შეხვედრისა არ იყოს, თავდასხმაში ბელგიელი მპენზას მეწყვილედ ისევ ნიგერიელი აგალი გაამწესა. დანიელი სანდი კი, ვისაც მუცლის კუნთი ისევ აწუხებს, ბოლოსღა შეუშვა მინდორზე.

ყოფილმა ჰანზელმა აგალიმ თავისი ყოფილი თანაგუნდელების წინააღმდეგ ჩინებულად ითამაშა და მატჩის საუკეთესო მოთამაშეც გახდა. მისი გოლი, დამთავრებამდე ნახევარი საათით ადრე რომ გავიდა, გარდამტეხი აღმოჩნდა. მანამდე ორიოცეჯერ სტუმრებმა შეაგდეს, ერთი საკუთარ და ერთიც მოწინააღმდეგის კარში.

აგალის გოლისას ორივე გუნდი რიცხობრივ უმცირესობაში დარჩენილიყო, ჯერ სტუმარი ბაიერლე გააძევეს უხეშობისთვის, მერე კი მის გზას ორგაფრთხილებიანი ასამოაც გაუყენეს.

ბოლო ათი წუთის მთავარი კაცი კი მასპინძელთა 27 წლის ნახევარმცველი იორგ ბიომე გახლდათ. 81-ზე მან პენალტი ვერ გაიტანა, ბოლო წუთზე კი ბელგიელი ვილმოტსის წაქცევისთვის დანიშნული თერთმეტმეტრიანის შესრულებაც მან ითავა და კიდევ კარგი გაიტანა, თორემ რაღაც მარტინ პალერმოს მაგვარს მოახდენდა.

მოკლედ, „შალკემ“ წლეულს პირველად გაიმარჯვა და აწი აღარც ლიდერები ჩანან მიუღწევლნი.

**სოლომონ ბულისაშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დორტმუნდი | 4 | 4 | 0 | 0 | 10:0 | 12 |
| ლაუტერნი | 4 | 4 | 0 | 0 | 12:5 | 12 |
| კოტბუსი | 4 | 3 | 0 | 1 | 7:5 | 9 |
| ლევერკუზენი | 4 | 2 | 2 | 0 | 9:5 | 8 |
| ბაიერნი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:2 | 7 |
| გლადბახი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:3 | 7 |
| შტუტგარტი | 4 | 1 | 2 | 1 | 4:4 | 5 |
| შალკე | 4 | 1 | 2 | 1 | 6:7 | 5 |
| ჰამბურგი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:5 | 4 |
| ჰერტა | 4 | 1 | 1 | 2 | 5:6 | 4 |
| ფრაიბურგი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:6 | 4 |
| კიოლნი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:4 | 4 |
| ვერდერი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:8 | 4 |
| მიუნხენი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:8 | 4 |
| ნიურნბერგი | 4 | 1 | 0 | 3 | 4:7 | 3 |
| ჰანზა | 4 | 1 | 0 | 3 | 2:8 | 3 |
| ზანკტ პაული | 4 | 0 | 2 | 2 | 1:4 | 2 |
| ვოლფსბურგი | 4 | 0 | 2 | 2 | 3:8 | 2 |


REUTERS

ორი ორზე: შალკელები ტომაშ ვალდოხი და ვიქტორ აგალი (წინ) როსტოკელებს რაიკ შრიოდერს და მარკუს ბაიერლეს გადაელობნენ

## შვეიცარია

### A ჯგუფი

**გადადებული მატჩები**

**ლუგანო 1:1 ციურიხი**

0:1 ჩინაბი (40), 1:1 ჯ. მანინი (84)
ციურიხი: პასკოლო, მარტინ შტოკლასა, ფიშერი, კვენტინი, პალასი (მ. ჯანინი 81), ჰელინგა, ჩინაბი, პ. ბაუმანი, ჯამარაული, მაგრო (ბერულმანი 88), ფ. გერერო (ტკალე 85)
მწვრთნელი: ჟორჟ ბრეგი
6 300 მაყურებელი

**ლოზანა 1:1 ქსამაქსი**

1:0 ლომბარდო (30), 1:1 ბუბონე (81)

**სიონი 1:3 სერვეტი**

0:1 ფრეი (23), 1:1 დეუმი (58), 1:2 ლონფატი (60), 1:3 ორუმა (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ციურიხი | 8 | 4 | 4 | 0 | 14:8 | 16 |
| იანგ ბოისი | 8 | 4 | 3 | 1 | 16:10 | 15 |
| ლუგანო | 8 | 4 | 2 | 2 | 12:9 | 14 |
| სიონი | 8 | 4 | 1 | 3 | 17:10 | 13 |
| აარაუ | 8 | 3 | 3 | 2 | 12:9 | 12 |
| სერვეტი | 8 | 3 | 3 | 2 | 10:9 | 12 |
| გრასჰოპერი | 8 | 3 | 2 | 3 | 20:12 | 11 |
| ქსამაქსი | 8 | 2 | 4 | 2 | 6:6 | 10 |
| სენტ გალენი | 8 | 2 | 2 | 4 | 13:18 | 8 |
| ბაზელი | 7 | 2 | 2 | 3 | 11:17 | 8 |
| ლოზანა | 7 | 1 | 2 | 4 | 7:14 | 5 |
| ლუცერნი | 8 | 0 | 2 | 6 | 6:22 | 2 |


**რეკლამა სარბიელ-ში**
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80



**იყიდება**
ოროთახიანი სუფთა ბინა 30 კვ.მ. მიშენებით, დიღმის მასივში, მე-4 კვარტალი, მე-19 კორპუსი, პირველი სართული.
ტელ.: 95-90-32,
39-71-98,
877 42-82-83
**ფასი შეთანხმებით**




ჯოვანი ტრაპატონი



ფათიჰ თერიმი

*თანამედროვე ფეხბურთში მწვრთნელი რომ უდიდესი ფიგურა გახდა, ფაქტია და არც იმას სჭირდება დიდი მტკიცება, რომ მწვრთნელთა როლმა განუზომლად დიდ მასშტაბებს იტალიაში მიაღწია. თავის მხრივ, იტალია ის ქვეყანაა, რომლის ჩემპიონატიც რამდენიმე დღეში დაიწყება და 5 მაისამდე გასტანს, ამიტომაც, ვფიქრობთ, უპრიანია ხანგრძლივი, დაძაბული, საინტერესო, ნიადაგ დამღლელი და ბოლოდროინდელი ეჭვების მიუხედავად მაინც უმაღლესი დონის შეჯიბრების რამდენიმე სტრატეგოსის მოსაზრებების გაცნობა.*

# ტრაპატონიმ იტალია დაალაგა
## თერიმი მილანით იმუქრება და კალაძეს ენდობა

**თუმცა,** ჯერ „სკუადრა აძურას" შეფის, ჯოვანი ტრაპატონის შეხედულებას გავეცნოთ:

„დღეს, ყველაზე უკეთეს მდგომარეობაში ჩემპიონი „რომაა". ჯერ ერთი, გუნდი დიდად არ შეცვლილა და მეორეც, რამდენიმე ძლიერი მოთამაშე დაიმატა. საბოლოოდ, მას სრული უფლება აქვს გარისკოს და თავი ძლიერად ჩათვალოს. რაც შეეხება მთავარ კონკურენტს, ვფიქრობ, აქაც არაფერი შეიცვლება და ასეთად კვლავ „იუვენტუსი" დარჩება, მით უფრო, რომ ტურინელებმა მარსელო სალასი დაიმატეს. ნუ გამოგვრჩება ის გარემოებაც, რომ „იუვენტუსის" მწვრთნელ მარჩელო ლიპის რამდენიმე თვეში, ალბათ, ედგარ დავიდსის გამოყენებაც შეეძლება. ამათ გარდა, თავისას იტყვიან, „მილანი", „ინტერი", „ლაციო" და „პარმაც" კი. ვგონებ, პირველობა საინტერესო და გაწონასწორებული გამოვა. იქნება სიურპრიზებიც. მეორეხარისხოვანი გუნდებიდან კი წინა სეზონის წარმატების გამეორება, ვფიქრობ, „ატალანტას" და „ბრეშას" ძალუძთ".

შემდეგ ტრაპატონიმ დაასახელა ის ფეხბურთელები, რომლებიც, მისი აზრით, ჩემპიონატში გამორჩეულად ითამაშებენ. გამოცდილთაგან მან ახსენა ფრანჩესკო ტოტი, კრისტიან ვიერი, რონალდო, ალესანდრო დელ პიერო და მანუელ რუი კოშტა, ხოლო ყმაწვილთაგან კრისტიანო ძანეტი, მასიმო დონატი, ანტონიო კასანო და კრისტიან ძენონი.

ადვილი შესამჩნევია, რომ დონ ტრაპის ჩამოთვლილ გუნდთა შორის არ არის „ფიორენტინა". ფლორენციელები მართალია უკეთესთა შორის უკეთესნი არასდროს იყვნენ, მაგრამ მუდმივად ანგარიშგასაწევ ძალად ითვლებოდნენ, ახლა კი, გაკოტრებულნი წამყვან ფეხბურთელთა გაყიდვით ცდილობენ თავის გადარჩენას.

მიუხედავად ყველაფრისა, იების მწვრთნელი რობერტო მანჩინი იმავე აზრზეა, რამდენიმე თვის წინ რომ გახლდათ — საკუთარ მომავალს მხოლოდ ფლორენციას უკავშირებს.

„მე ის კაცი არ ვარ, გუნდს ჩემპიონატის დაწყების წინ რომ ტოვებს, არადა, გაზეთებში წავიკითხე, თითქოს სადღაც გავიქეცი. ეს ტყუილია! ივნისში, კლუბის კატასტროფული ეკონომიკური მდგომარეობის ამბავი რომ გავიგე, მაშინვე გადავწყვიტე „ფიორენტინასთვის" მეერთგულა. აზრს ახლაც არ შევიცვლი: ჩემი კონტრაქტის ვადა სეზონის ბოლოს იწურება და ბოლო დღემდე აქ დავრჩები. მწამს იმ გეგმისა, რომელიც შევადგინე და იმ ფეხბურთელებისა, რომლებიც ჩემს განკარგულებაში არიან. ერთი სიტყვით, არ მესმის რატომ ავრცელებს ზოგი ადამიანი ასეთ ტყუილს. ჩვენ დამატებითი პრობლემები ნამდვილად არ გვჭირდება".

ქართველი გულშემატკივრისთვის ყველაზე საინტერესო, ბუნებრივია, „მილანის" თურქი თავკაცის, ფათიჰ თერიმის მოსაზრებებია, ვინაიდან „მილანში" საქართველოს ნაკრების წევრი, კახა კალაძე თამაშობს.

„მოსამზადებელ პერიოდში, „ვარეზესთან" პირველი თამაშით დაწყებული, „იუვენტუსთან" ბერლუსკონის თასის შეხვედრით დასრულებული, ტექნიკური და ფიზიკური მონაცემების გამომჟღავნებისა და შემოწმების საშუალება გვქონდა. ზოგ შემთხვევაში კმაყოფილების საფუძველი გვქონდა, ზოგჯერ კი უკმაყოფილონი ვრჩებოდით. ასეა თუ ისე, ჩემპიონატამდე უკვე ორიოდ დღე გვაშორებს და ეს დღეები რაღაცეების დასახვეწად გვჭირდება. ეჭვი არ მეპარება, რომ შემჩნეულ ხარვეზებს გამოვასწორებთ. ზოგადად, ძალიან მინდა ყოველ შეხვედრაში ლამაზი თამაში ვაჩვენოთ, სანახაობა შევქმნათ, მაგრამ ვიცი, რომ ეს შეუძლებელია, მთავარი ნაკლი კი იმ ეპიზოდებში აღმოვაჩინე, ბურთი მეტოქეს რომ აქვს. ყველაზე მეტი კრიტიკა, მაინც ნახევარდაცვას ერგო. ეს ერთი მხრივ გასაგებია — ყველაზე მეტი დაშავებული სწორედ აქ გვყავდა და გვყავს, თუმცა ახალი მოთამაშეებით სირთულეთა გამოსწორება შესაძლებელია. ისე კი, კრიტიკოსების მაინც არ მესმის: თუ ამხანაგურ შეხვედრათაგან რამდენიმეში კარგად ვითამაშეთ, ესე იგი ჩემპიონატის ტურებშიც შეგვიძლია იგივე გავიმეოროთ".

შემდეგ თერიმმა რუმინელ კოზმინ კონტრაზე თქვა, დღითი-დღე უმატებსო.

რაც შეეხება ჭორებს, თითქოს ბრაზილიელი სერჟინიო რუი კოშტასთან პარტნიორობას ვერააწყობს, ისინი თურქმა უარყო: „ბრაზილიელი ჩვენს გუნდში ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი ფეხბურთელია და გადაწყვეტილი მაქვს იმ პოზიციაზე ვათამაშო, სადაც თავს საუკეთესოდ წარმოაჩენს და დანარჩენებს ხელს შეუწყობს".

„კორიერე დელა სერას" ბრალდებას, თითქოს „მილანმა" მოთამაშეებს საჭიროზე მეტი დასვენების საშუალება მისცა, თერიმმა ასეთი პასუხი გასცა: „ზოგიერთი ისეთი მოსაზრება მესმის, რომლის სერიოზულად კომენტირებას აზრიც არ აქვს. სჯობს რაიმე საქმიანზე ვილაპარაკოთ".

და, მწვრთნელის აზრით სერიოზული საკითხი იტალიის მოახლოებული პირველობის პირველ ტურში, ბრეშაში თამაშია.

„სეზონის პირველი შეხვედრის სტუმრად თამაში ყოველთვის ძნელი და უსიამოვნოა, მაგრამ, ჩვენ კარგს ველით. ბრეშაში სეზონისწინა ამხანაგური შეხვედრებისგან ძალიან განსხვავებულ სანახაობას ელოდეთ".

ბოლოსთვის კი კალაძის თემა შემოვინახეთ. სეზონისწინა მატჩებში თერიმმა იგი დემეტრიო ალბერტინის პოზიციაზე ანუ ნახევარდაცვის შუაში ათამაშა.

„ტრიესტში, როგორც „იუვეს", ასევე „ინტერის" წინააღმდეგ შეხვედრებში, კალაძემ მოედნის შუაში თამაშით კმაყოფილი დამტოვა. შემდეგ, ბერლუსკონის თასზეც იგივე როლი მივაკუთვნე, ერთხელაც დავაკვირდი და შევისწავლე. ყველაფერი კარგადაა. თუმცა, ალბერტინიც რომ გამოჯანმრთელდება, ყველა ხელთ გვეყოლება და კიდევ უკეთესად იქნება საქმე" — თქვა თერიმმა.

**ბაჩუნა ძიძია**

## ფეხბურთის რუკასთან

**ბერძნულმა** „პანიონიოსმა" ფინელი მწვრთნელი მარტი კუუსელა გაათავისუფლა. სამი თვის წინ ფინელმა სპეციალისტმა კლუბთან კონტრაქტი ერთი წლით გაახანგრძლივა, თუმცა „პანიონიოსის" პრეზიდენტმა ახილეს ბეოსმა საბერძნეთის თასზე გუნდის უხეირო გამოსვლის გამო კუუსელა გაუშვა. ფინელი „პანიონიოსში" მეორედივიზიონურ „პრუდეფტიკიდან" მივიდა. მის ადგილს ახლა დროებით თანაშემწე დიმიტრიოს ბარბალიასი დაიკავებს.

**ინგლისურმა „ფულემმა" მეოთხე ფრანგი ფეხბურთელი შეიძინა. ლუის საჰას, ალენ გომასა და სტიდ მალბრანკს „ბორდოდან" სილვენ ლეგვინსკი შეუერთდა. 27 წლის ნახევარმცველმა სამედიცინო შემოწმება უკვე გაიარა და ჟან ტიგანას გუნდთან კონტრაქტიც გააფორმა. ლონდონელებმა ტრანსფერში 3 მილიონ 300 ათასი გირვანქა, დაახლოებით ხუთი მილიონი დოლარის გაიღეს.**

**ესპანური** „ბეტისის" პრეზიდენტმა მანუელ რუისმა 28 წლის მცველ ანხელ კუელიარს კონტრაქტი დაურღვია, მოტივად კი ის დაასახელა, ფეხბურთელის კონტრაქტი არასწორად იყო შედგენილიო. ანხელ კუელიარმა ყოველგვარი კომენტარისგან თავი შეიკავა და კონსულტაციისთვის ადვოკატებს მიმართა.

**ლატვიის ნაკრების ფეხბურთელებს — იმანტას ბლეიდელისსა და მარიანს პახარსს თავიანთ კლუბ „საუთჰემპტონში" პრობლემები შეექმნათ. პრემიერლიგელთა მწვრთნელი სტიუარტ გრეი ბალტიისპირელებს თურმე ალმაცერად უყურებს და თუ ათამაშებს, ისიც იძულებით. „გუნდში არაჯანსაღი ატმოსფეროა. სტიუარტ გრეი კი ჩვენ გვაკრიტიკებს და იგნორირებას გვიკეთებს. არ გველაპარაკება და ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს ვერც გვამჩნევდეს. ამიტომაც გადავწყვიტეთ, კლუბი სასწრაფოდ დავტოვოთ" — თქვა მწვრთნელზე განაწყენებულმა ნახევარმცველმა იმანტას ბლეიდელისმა.**

**ფრანგი** თავდამსხმელი ნიკოლა ანელკა დაშავდა. 22 წლის ფეხბურთელმა ტრავმა გუშინწინ ინტერტოტოს თასზე იტალიურ „ბრეშასთან" მატჩში მიიღო. მეტოქემ მას ზურგში იდაყვი ჩაარტყა და მოედანი 28-ე წუთზე დატოვა. „პარი სენ ჟერმენის" თავკაც ლუის ფერნანდესის თქმით, ანელკას ტრავმა სერიოზული არ არის, თუმცა შესაძლოა, ჩემპიონატის უახლოესი მატჩი „რენთან" გამოტოვოს.

**იტალიურმა „იუვენტუსმა" „პერუჯას" განაპირა მცველის, ფაბიო ლივერნის გადაბირება ვერ მოახერხა. როგორც ტურინელთა გენერალურმა მენეჯერმა ლუჩანო მოჯიმ განაცხადა, ისინი „პერუჯასთან" სატრანსფერო თანხაზე ვერ შეთანხმდნენ. ერთი სიტყვით, ფაბიო ლივერანი „პერუჯაში" დარჩება და ახალ სეზონშიც სერსე კოზმის გუნდში ითამაშებს.**

**რუსული** ცსკა-ს ოფიციალური ვებ-გვერდი იტყობინება, რომ უკრაინელი მეკარის, სერგეი პერხუნის ჯანმრთელობა კვლავაც კრიტიკულია. მკურნალ ექიმთა აზრით, მისი კლინიკური დიაგნოზის დასაზუსტებლად აუცილებელია თავის ტვინის მაგნიტო-რეზონანსული გამოკვლევის ჩატარება. მათივე თქმით, ფეხბურთელის ორგანიზმი არტერიულ წნევას ინარჩუნებს.

**ბულგარული სოფიის „ლევსკი" ლონდონური „ვესტ ჰემის" მიერ შეთავაზებულ 10 მილიონ დოლარს დაყაბულდა და ამ კვირაში ნისლიან ალბიონზე თავდამსხმელ გეორგი „გონჩო" ივანოვს გაუშვებს. ივანოვი მეორე ბულგარელია, რომელიც „ვესტ ჰემში" ითამაშებს. „ჩაქუჩების" რიგებში ნაკრების თავდამსხმელი სვეტოსლავ ტოდოროვი ირიცხება. არაა გამორიცხული, პრემიერლიგის უახლოეს ტურში „ლიდს იუნაიტედს" ივანოვ-ტოდოროვის დუეტმა შეუტიოს.**

**იტალიური** „რომ ს" კაპიტანმა ფრანჩესკო ტოტიმ განაცხადა, რომ მოახლოებულ სეზონში სკუდეტოსთვის ბრძოლაში „რომას" მთავარი კონკურენტი მილანის „ინტერი" იქნება. „მე ვნახე მათი თამაში „რეალთან". გამოგიტყდებით, აღფრთოვანებული დავრჩი კუპერის გუნდის მოქმედებით. მათ რონალდო-ვიერის სახით მრისხანე თავდასხმა ეყოლებათ". ტოტიმ არც სხვა ბობოლები დაივიწყა, სკუდეტოს მაძიებლები ასე განალაგა: „იუვენტუსი", „მილანი", „ლაციო", შესაძლოა „პარმაც".

**ფრანგულმა „სოშომ" ბრაზილიური „ატლეტიკო მინეიროდან" ნახევარმცველი ანდრე ბაროსო გადაიბირა და მასთან სამწლიანი კონტრაქტიც გააფორმა. ბაროსო „სოშოს" მეორე ბრაზილიელია, რომელიც ფრანგებმა ამ ზაფხულს შეიძინეს. ფრანკილედ დუშ სანტუშ ლიმა 2000-2001 წლების სეზონში საფრანგეთის ჩემპიონატის მეორე დივიზიონის საუკეთესო მეგოლე გახლავთ.**

**იტალიური** „ნაპოლი" გაკოტრების პირასაა მისული. როგორც კლუბის პრეზიდენტმა ჯორჯო კორბელიმ განაცხადა, თუ უახლოეს ხანში ფინანსური მდგომარეობა არ გამოსწორდა, იგი გადადგება. კორბელის თქმით, გადარჩენის ორი გზა არსებობს — გაყიდონ კლუბის საუკეთესო ფეხბურთელები ან ინვესტორები მოიზიდონ.

**ესპანური მადრიდის „რეალის" ახალგაზრდა მეკარე იკერ კასილიასი მწვრთნელ ვისენტე დელ ბოსკეს ემადლიერება და პრიმერადივიზიონის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე იმედოვნებს, რომ მას „რეალის" ნომერ პირველ გოლკიპერად დაამტკიცებენ. „კონკურენტებად, მე და სესარ სანჩესი ვითვლებით. მწვრთნელის გადაწყვეტილება მართებულია, როცა წინასასეზონო მატჩებში ორივეს რიგრიგობით გვანდობდა კარის დაცვას. ვიმედოვნებ, დელ ბოსკე საუკეთესოს აარჩევს, ჩემი მხრიდან კი ყველანაირად ვეცდები, მისი რჩეული გავხდე" — აცხადებს კასილიასი.**

**ჩეხეთის** ნაკრებისა და იტალიური „ფიორენტინას" მცველი ტომაშ რეპკა, ჩვენებური ზაზა ჯანაშიას არ იყოს, ეროვნული გუნდის მწვრთნელმა იოზეფ ხოვანეცმა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში ისლანდიისა და მალტის წინააღმდეგ სათამაშოდ არ გამოიძახა. 27 წლის ფეხბურთელი ამასწინანდელ სანაკრებო შეკრებაზე თავისი ნებით არ გამოცხადდა, როცა ჩეხები ამხანაგური მატჩისთვის სამხრეთ კორეელების წინააღმდეგ ემზადებოდნენ. რეპკას გარდა ხოვანეცმა ნაკრების მიღმა ორი ლივერპულელი — პატრიკ ბერგერი და ვლადიმირ შმიცერიც დატოვა.

**ჩილეს ფეხბურთის ფედერაცია მთელი შემადგენლობით გადადგა. ახალი არჩევნები 7 ნოემბრისთვისაა დანიშნული. ეს განცხადება ფედერაციის აწ უკვე ყოფილმა ვიცე-პრეზიდენტმა ოსვალდო ბანდომ გააკეთა. მისივე თქმით, ამ ქვეყნის ფეხბურთი ისეთ ყოფაშია, როგორშიც დღესაა, არ უნდა იყოს. „ოფიციალურად კარდინალური სტრუქტურული ცვლილებებია. ჩვენი შესაძლებლობები ამოიწურა, ამიტომაც გადავდექით" — დასძინა ბანდომ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნგენი და საშუალო? ოლიმპიურმა ჩემპიონმა თითქოს მოწოდებას მიაგნო

**ჩავედით** გეიტსჰედში: ეს ქალაქი ინგლისში გახლავთ, მდინარე ტაინის გამოღმა, გაღმა კი ნიუკასლია, განთქმული პირველ რიგში პრემიერლიგის ბინადარი ფეხბურთის კლუბით, ხოლო გეიტსჰედზე რა გითხრათ, არ გამოგვიკვლევია, ფეხბურთის გუნდი თუ ჰყავს (რატომღაც რომ არ ჰყავდეს, ინგლისში ფეხბურთს ყველა ქალაქი თამაშობს) და რომელი დივიზიონის ბინადარია. ქალაქი სპორტული თვალსაზრისით უფრო სამძლეოსნო „ნორვიჩ უნიონ კლასიკითაა“ განთქმული, რომელიც დაფასებული ტურნირია და მძლეოსნობის ფედერაციათა საერთაშორისო ასოციაციის (იააფ) „გრან პრი 2“-ის ეტაპად ალირიცხება.

ვერ ვიტყვით, რომ წლევანდელ ტურნირზე ვარსკვლავები დახვავდნენ. ყოველ შემთხვევაში, მთავარი ინტრიგა ვაჟთა 400 მეტრს ახლდა, სადაც გვერდიგვერდ ირბინეს ბაჰამელმა მსოფლიოს ჩემპიონმა ავარდ მონკურმა (ედმონტონში რომ გაიმარჯვა), იმავე ედმონტონში თარჯებიანი 400 მეტრის მომგებმა დომინიკელთა რესპუბლიკიდან ფელიქს სანჩესმა და თარჯრბენშივე ამერიკელმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ანჯელო ტეილორმა. სამმა ტიტულიანმა დანარჩენებს თავიდანვე ბევრით გაუსწრო და ფინიშზე მათი სპრინტის ყურება კარგი რამ იყო. სულ ცოტათი დისტანციის არასპეციალისტი სანჩესი გამოირჩა, ტეილორი მეორე იყო და სპეციალისტ ბაჰამელს მესამე ადგილი დარჩა.

ამ დროს ნოა ნგენი საკმაოდ საოცარ საქმეს აკეთებდა. ერთობ დაზაფრული გამოდგა წლევანდელი სეზონი კენიელისთვის. სიდნეის ოლიმპიადის შემდეგ ნგენის კენიის არმიის ჩემპიონატის მოგება თუ გაუხარდებოდა, თორემ ვერც ერთი სოლიდურ ტურნირზე პირველი ადგილი ვერ დაიკავა. ახლა იმ ტურნირებზე ფულს აკეთებ და ნაკრების შეკრებას აცდენო, ამაზე აუხირდნენ ნგენის თვისტომები და მსოფლიოს ჩემპიონატს მოსწყვიტეს, ჭრილობაზე მარილი კი ჰიშამ ელ გურუჯმა და სხვებმა მიუყარეს, როცა გასულ კვირას ციურიხის „ოქროს ლიგაზე“ უკლებლივ გაუსწრეს.

ოლიმპიური ჩემპიონი ბოლო ადგილზეა! ვაი, სირცხვილო! ამიტომ ნგენი ალბათ ასე შეჰყვირებდა: „მორჩა, ახალ ცხოვრებას ვიწყებ!“ და დაიწყო — სტაიერი საშუალო დისტანციის მორბენალად იქცა. სულ თუ დროებით, ვერ გეტყვით, მაგრამ გეიტსჰედში მეტამორფოზა ისეთი წარმატებული გამოდგა, ნგენი კიდევ იქნება 800 მეტრის რბენის მადაზე. იგი გარბოდა სპრინტერივით და გზა წუთში, 45 წამსა და 97 მეასედში პირველმა გალია, რაც დიახაც მოსაწონი შედეგია.

ინგლისელმა ვეტერანმა სტივ ბაკლიმ შუბის ტყორცნა მოიგო. ორგზის ოლიმპიური ვიცე-ჩემპიონი ედმონტონიდან შერცხვენილი დაბრუნდა, რადგან მედალს ვინ ჩივის, ფინალი არ ეღირსა. ბაკლის ედმონტონში ხელი ერთხელ ვერ გაექცა წესიერად და საუკეთესო შედეგი 81,50 მეტრი უჩვენა, ეს კი დიდი საცოდაობაა მის მიერვე სამი კვირით ადრე ნაჩვენებ 90 „სჩემტა“ მეტრთან შედარებით. გამეორება ცოდნის დედაა: ოლიმპიადებს და მსოფლიოს ჩემპიონატებს უნიკალური სპეციფიკა აქვთ.

მოკლედ, გეიტსჰედში ბაკლის უნდა დაემტკიცებინა, რომ სამგზის ევროპის ჩემპიონს ჯანი ღლესაც მოსდევს. გამოუვიდა: აჯობა ფინელებს ჰარი ჰაატაინენს, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონს აკი პარვიაინენს და პირველი იყო.

კიდევ მასპინძელმა პოლა რედკლიფმა ისარგებლა ეთიოპელი დემონების არყოფნით და 3000 მეტრი მოიგო. გეტე ვამიმ, დერარტუ ტულუმ და ბერანე ადერემ გრძელკანჭა, ნაწნავიან ბრიტანელს ედმონტონში ბრინჯაოს მედალიც არ აღირსეს.

ტატიანა ლებედევამ კი კიოსავით იმდენი მოახერხა, 19-ში გეიტსჰედის სამხტომი მოიგო და მეორე დღეს უკვე ავსტრიულ ლინცში იყო, სადაც ასევე „გრან პრი 2“-ის ეტაპი გაიმართა. მაგრამ ლებედევა მთლად კიო არ არის და ბუნებრივია, მგზავრობით დაღლილი პირველ ადგილზე ვერ გავიდა. მაინც მისი შედეგი ურიგო არ ყოფილა, მხოლოდ ბრინჯაოს ოლიმპიელმა ტერეზა მარინოვამ აჯობა. ბულგარელის შედეგი 14,70 მეტრი იყო.

ლინცში სხვაც იყო საინტერესო. კუბელმა ანიერ გარსიამ ედმონტონსა და ციურიხში დამარცხებათა შემდეგ ამერიკელ ალენ ჯონსონს ორი რანგით დაბალ შეჯიბრში მაინც აჯობა. 110 მეტრზე თარჯრბენი სრულად ამ ორის დაპირისპირება იყო. კუბელმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ამერიკელ მსოფლიოს ჩემპიონს 0,03 წამით გაუსწრო. მაროკოელმა ნეჟა ბიდუანემ გააგრძელა წარმატებული მსვლელობა ედმონტონში გამარჯვების შემდეგ და 400 მეტრი თარჯრბენი ლინცშიც დაინარჩუნა, ხოლო განელმა აბდულ აზიზ ზაკარიმ მორის გრინის ან ტიმ მონტგომერის არყოფნით ისარგებლა და 100 მეტრი გვარიანი 10,04-ით მოიგო. სულ ცოტათი ჩამორჩა კიმ კოლინზი სენტ კიტსის ციცქნა კუნძულიდან, ვისაც ედმონტონში ბრინჯაო ერგო და ჩვენ კი სამართლიანად გვათქმევინა, რომ სირბილიც ზოგ-ზოგების გარდა ყველამ ისწავლა.

შტეფანი გრაფს მარია მუტოლა არ ექიშპებოდა, სხვებს კი 800 მეტრზე იოლად გაუსწორდა მშობლიური საზოგადოების მხარდაჭერით და პრინციპში, სულ ეს იყო. ამინდი კი გეიტსჰედში და ლინცშიც უემური ყოფილა. იმ ადგილებში ძირითადად ასე იცის.

**დავით გულუა**



ოლიმპიურმა ჩემპიონმა ანიერ გარსიამ (მარცხნივ) მსოფლიოს ჩემპიონ ალენ ჯონსონზე რევანში ლინცის „გრან პრი 2“-ზე აიღო



## პროკალათი



საშა ობრადოვიჩმა ისევ გერმანიას მიაშურა

**ამერიკული** წარმოშობის შავკანიან იტალიელის, კარლტონ მაიერსის ტრანსფერის გარშემო ატეხილ მითქმა-მოთქმას ბოლო მოეღო. მაშინ, როცა იტალიაში ყველას ეგონა, მაიერსი ესპანეთშია და სადაცაა ვიტორიის ტაუსთან გააფორმებს კონტრაქტსო, ბოლონიის „ფორტიტუდოს“ ყოფილი კაპიტანი მომავალი სეზონიდან იტალიისავე რეჯიო კალაბრიას „ვიოლაში“ ითამაშებს.

ეს მას შემდეგ გაირკვა, რაც ხორვატიაში დასასვენებლად მყოფ მაიერსს რეჯიო კალაბრიიდან შეეხმიანნენ და სახეირო ფინანსური პირობები შესთავაზეს. კალათბურთელმა არ დაიზარა და „ვიოლას“ შტაბს ეწვია. რამდენიმესაათიანი მოლაპარაკებისა და ფიქრის შემდეგ კარლტონმა ორწლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, რომელიც კონტრაქტის ერთი წლით გაგრძელებასაც არ გამორიცხავს.

თავად მაიერსი ძალიან კმაყოფილია ახალ გუნდში გადასვლით. მან თავის პრეზენტაციაზე განაცხადა: „ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ ვიქნებით ჩრდილში და პირველ რიგში იტალიის ჩემპიონობისთვის ვიბრძოლებთ. მე აქ მარტო კარგი პირობებისთვის არ მოვსულვარ, გუნდის პრეზიდენტისა და გულშემატკივართა მიზნის განხორციელებისთვის ბრძოლა მსურს. ერთ დღეში მივიღე გადაწყვეტილება და „ვიოლას“ წევრი გავხდი. ბოლონიას ვშორდები. მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო მის ყველა გულშემატკივარს, მაგრამ იმასაც ვიტყვი, რომ „ფორტიტუდოს“ ერა დასრულდა“.

„ვიოლა“ არ შედის იტალიის მოწინავე კლუბების რიცხვში, მეტიც, მას აქამდე დიდი ფინანსური პრობლემები ჰქონდა და ერთხანს გუნდის დაშლის საკითხიც დადგა, თუმცა ხელმძღვანელობამ გამოასწორა მდგომარეობა და ძლიერ შემადგენლობასაც მოუყარა თავი. მაიერსის გადაბირების შემდეგ კალაბრიელებმა კიდევ ორი მნიშვნელოვანი შენაძენიც გააზერხეს. 34 წლის ბაირონ დინკინსი, რომელიც „პერისტერიში“ საშუალოდ მატჩში 11,5 ქულას აგროვებდა და ევროპის გამთამაშებელთა ელიტაში შედის, მომავალი სეზონიდან კალაბრიელთა გუნდში მაიერსის მხარდამხარ იქნება. კალაბრიელი გახდა აგრეთვე ბრაიან ევანსი, რომელიც წინა სეზონში „სიენაში“ თამაშობდა და ამ კლუბს სუპერლიგაშიც დიდად დაეხმარა — თამაშში საშუალოდ 16,5 ქულა.

ახლა კი, მადამოცემულ რეჯიოკალაბრიელებს, ალექსანდრ ვოლკოვის მეშვეობით, მისი მეგობრის, უგუნდოდ დარჩენილი ლიტველი ვეტერანის, არვიდას საბონისის გადაბირებაც სურთ, თუმცა ამის გაკეთება მათ ძალიან ძვირი დაუჯდებათ.

**საფრანგეთის** ჩემპიონმა „პოორტეზმა“, როგორც იქნა, მონახა მისთვის სასურველი ცენტრი, 31 წლის 205-სანტიმეტრიანი ვალტერ სელერსი, რომელიც იტალიურ „რომაში“ გამოდიოდა. მომავალი სეზონიდან იგი კილი მილინგს შეუწყვილდება და „პოორტეზის“ თავდასხმას გააძლიერებს.

სელერსმა წინა სეზონში იტალიის უმაღლეს ლიგაში 34 მატჩი ჩაატარა და შეხვედრაში საშუალოდ 16 ქულასა და 8,6 მოხსნას აგროვებდა. მანამდე კი მას თურქულ „ეფეს პილსენში“ უთამაშია.

**თურქეთის** ახალგაზრდული ნაკრების ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული მოთამაშე, 21 წლის 208-სანტიმეტრიანი ემრე ეკიმი, რომელიც წინა სეზონში სტამბოლის „დარუშაფაკაში“ გამოდიოდა და თამაშში საშუალოდ 3,8 ქულასა და 4 მოხსნას აგროვებდა, ახლა საბერძნეთშია და პირეოსის „ოლიმპიაკოსში“ [illegible]. ბერძნებმა ახალგაზრდა თურქს ოთხწლიანი თანამშრომლობა შესთავაზეს და ყველა საჭირო პროცედურის გავლის შემდეგ კონტრაქტსაც გაუფორმებენ.

**გუშინ** ბუნდესლიგაში წლეულს ალზევებულმა კიოლნის „ენერგიმ“ გერმანიაში ყველაზე ხმაურიანი ტრანსფერი გააზერხა. წინა სეზონში იუგოსლავიის ჩემპიონ პოდგორიცას „ბუდუჩნოსტში“ მოთამაშე, 32 წლის 197-სანტიმეტრიანი გამთამაშებელი საშა ობრადოვიჩი მომავალი სეზონიდან ბუნდესლიგის დებიუტანტ კიოლნურ კლუბში გაანაწილებს ბურთებს. ეს ტრანსფერი გერმანიაში იმიტომაც გახმაურდა, რომ ობრადოვიჩი 1994-97 წლებში ბერლინის „ალბაში“ ბრწყინავდა. იუგოსლაველი სამი წლის განმავლობაში შეუდარებელი იყო ბუნდესლიგაში და 1997 წელს „ალბას“ შემადგენლობაში გერმანიის ჩემპიონი გახდა, ხოლო მანამდე, 1995 წელს, კორაჩის თასიც ალმართა.

მას შემდეგ, რაც ობრადოვიჩმა „ალბა“ დატოვა, ჯერ რომის „ვირტუსში“ ითამაშა, ორი წლის შემდეგ კი სამშობლოს დაუბრუნდა და ბელგრადის „ცრვენა ზვეზდაში“ გააგრძელა კარიერა. იგი იუგოსლავიის ნაკრების უცვლელი წევრი იყო მაშინ, როცა ამ გუნდმა 1995 და 1997 წლებში ევროპის, ხოლო 1998 წელს მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა. კიოლნურ კლუბში ობრადოვიჩის მწვრთნელი თანამემამულე სვეტისლავ პეშიჩი იქნება, რომელიც ამავდროულად მას იუგოსლავიის ნაკრებშიც უთავკაცებს.

**სლოვენიის** ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ 24 წლის ორმეტრიანი ფორვარდი მარკო მილიჩი იტალიაში გადაბარგდება და ახალი სეზონიდან ბოლონიის „ფორტიტუდოში“ ითამაშებს. მილიჩი, მატიას სმოდსისა და სანი ბეჩიროვიჩის შემდეგ, მესამე სლოვენიელი იქნება, რომელიც ბოლონიურ კლუბში ითამაშებს. მას ნბა-ც აქვს დაჭაშნიკებული. 1997 წლის დრაფტის მეორე რაუნდში „ფილადელფია სიქსერზმა“ იგი 34-ე ნომრად აიყვანა.

„კარგი ვქენი, ბოლონიაში რომ გადმოვბარგდი და ამით ძალიან კმაყოფილი ვარ. გუნდის ხელმძღვანელობასთან უკვე კარგა ხანია, ყველაფერი შევათანხმე და კონტრაქტის გაფორმება მხოლოდ დროის საკითხია. ახლა უკვე შემიძლია, ნაკრებზე გადავერთო და ევროპის ჩემპიონატზე ჩემებურებს დავეხმარო“ — ამბობს მარკო მილიჩი.

**ირაკლი ბერტაია**



კარლტონ მაიერსი იტალიიდან იტალიაში გადავიდა

## ნიუ ჯერსი ნეთსი

დაარსდა 1967 წელს, ნბა-შია 1976 წლიდან
ნბა-ს ჩემპიონი არ ყოფილა
მუდმივი ნომერი: 3 (დრაჟენ პეტროვიჩი), 4 (ვენდელ ლენდერი), 23 (ჯონ ვილიამსონი), 25 (ბილ მელჩიონი), 32 (ჯულიუს ირვინგი), 52 (ბაკ ვილიამსი)
დარბაზი: კონტინენტალ ეალაინზ არენა

# ნიუ იორკის გერი



ბედკრულ დრაჟენ პეტროვიჩს მწვერვალზე ასვლა არ დასცალდა



ჯულიუს ირვინგმა თანამედროვეებს ფრენა ასწავლა

„**დღესვე** გავყრიდი გუნდიდან შვიდ-რვა მოთამაშეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ამით საქმეს არ ეშველება. ამათ რომ ვუყურებ, საერთოდ აღარ მინდა კალათბურთისკენ გახედვა“ — ეს სიტყვები „ნიუ ჯერსი ნეთსის“ მწვრთნელ ბაირონ სკოტს უთქვამს თავის უხეირო შეგირდთა მორიგი უიმედო მარცხის შემდეგ. ამ შვიდ-რვა კალათბურთელს შორის, ვისი გაგდებითაც ამ რამდენიმე თვის წინ სკოტი იმუქრებოდა, იქნებ ჩვენებური ვლადიმერ სტეფანიაც იგულისხმება. შესაძლოა, სკოტი არც არას ერჩის ქართველს, სტეფანია ხომ ეპიზოდების მოთამაშეა. სამაგიეროდ, „ბადეთა“ ძირითადი ბირთვი ნამდვილად იმსახურებს დამრიგებლის წყრომას. დღესდღეობით „ნიუ ჯერსი“ ნამდვილად არ წყვეტს ციდან ვარსკვლავებს, საშუალოებშიც არ ითვლება და დიდ გამარჯვებებს ნაჩვევ, ერთ დროს ლეგენდარული მეჯიქ ჯონსონის მეწყვილე ბაირონ სკოტსაც ეს აგიჟებს.

„ნეთსი“ სტეფანიას მეორე ნბა-ური გუნდია, ვოვამ მანამდე ორი წელი „სიეტლში“ ითამაშა, ბოლო სეზონში კი „ბადეთა“ ძირითადი ცენტრის, ევან ეშმეიერის შემცვლელი იყო. ახლა სტეფანია თავისუფალი აგენტია და ჯერჯერობით უცნობია, დარჩება ძველ გუნდში თუ სხვაგან გააგრძელებს კარიერას.

ნბა-ში მოხვედრილი პირველი ქართველის გუნდი არსებობის 34 წელს ითვლის. „ბადეები“ 25 წელია, ნბა-ში არიან და არათუ ჩემპიონები არ გამხდარან, არამედ არ მოუგიათ პლეი ოფის ერთ სერიაზე მეტი. სამაგიეროდ, ისინი 70-იანი წლების ნბა-ს მოქიშპე ლიგის — აბა-ს ორგზის ჩემპიონობით მოიწონებენ თავს. „ბადეები“ დღემდე შეჰნატრიან იმ დროს, როდესაც თუნდაც ნახევარ საკალათბურთო ამერიკაში უძლიერესები იყვნენ.

„ბადეთა“ დამაარსებლებს აზრად არ მოსვლიათ ნბა-ს კარზე დაკაკუნება და ამ ლიგის მამების წინ მუხლებზე ხოხვა — თქვენი ჭირიმე, თქვენს ოჯახში შემოგვიშვითო. „ნეთსი“ სპეციალურად ახლადდაარსებულ აბა-ში თამაშისთვის შეიქმნა, ისევე როგორც აბა-ს ყველა სხვა გუნდი. „ნეთსის“ დაარსების ინიციატორი გახლდათ აბა-ს პირველი კომისარი, 50-იანი წლების ნბა-ს ლეგენდა ჯორჯ მაიკენი. მაიკენი ხვდებოდა, რომ მისი ლიგის არსებობის დღეები დათვლილი იქნებოდა თუ აბა-ს არ ეყოლებოდა გუნდები დიდ ქალაქებში და, რა თქმა უნდა, ნიუ იორკში. ქვეყნის უდიდეს ქალაქში მან მოიძია მილიონერი არტურ ბრაუნი და კლუბის დაარსებაშიც შეძლებისდაგვარად წააშველა ხელი. აგრეთვე მაიკენის ინიციატივით გუნდის პირველ მთავარ მწვრთნელად ბრაუნმა აიყვანა მაიკენის თანამედროვე ვარსკვლავი და 50-იან წლებში მისი მთავარი მეტოქე, მაქვს ზასლოფსკი. აღსანიშნავია, რომ „ნეთსს“ თავდაპირველად „ამერიკანზი“ ერქვა და წმინდა ნიუორკული გუნდიც გახლდათ. ახალ ნიუიორკულ კლუბს უჭირდა ნბა-ელი თანამოქალაქის „ნიუ იორკ ნიქსისთვის“ კონკურენციის გაწევა. ქვეყნის უცნობილეს სპორტულ სარბიელ „მედისონ სკვერ გარდენში“ სამუდამოდ დაფუძნებული „ნიქსი“ სათოფეზე არ იკარებდა საიდანღაც გამომტყვრალ“ მოქიშპეს. ის კი არა, ყველანაირად უშლიდა ხელს. „ნეთსს“ აბა-ში ყოფნის მანძილზე ოთხჯერ მოუხდა დარბაზის გამოცვლა.

ისე კი, მარტო დარბაზიდან დარბაზში მოგზაურობაში არ გამოიხატებოდა ნბა-ელთა ხელის შეშლა. 1989 წელს „ნეთსს“ შანსი ჰქონდა, აეყვანა ფენომენალური მონაცემების მოთამაშე ლუ ალსინდორი, მოგვიანებით ქარიმ აბდულ-ჯაბარად წოდებული. ამ 218-სანტიმეტრიან ჯეელს გული აბა-სკენ მოუწევდა, თუმც „ნეთსს“ „მილუოკი ბაქსმა“ აჯობა, ალსინდორს მეტი შესთავაზა და აბა-მ დაკარგა მომავალი ლეგენდა. ხანდახან პირიქითაც ხდებოდა, ვარსკვლავები ნბა-დან აბა-ში მოდიოდნენ. ასე ერგო კიდევ ერთი ლეგენდა რიკ ბერი „ნეთსს“ 1970 წელს. ბერიმ 1972 წელს „ბადეები“ აბა-ს ფინალში გაიყვანა. „ნეთსმა“ იქ „ინდიანასთან“ წააგო.

ფინალში მარცხმა ბერის აბა-ზე გული აუცრუა. იგი კვლავ ნბა-ში გადაბარგდა და იქ 1975 წელს „გოლდენ სტეიტი“ აჩემპიონა. ლიდერის დაკარგვამ „ნეთსი“ დააჩოქა, მაგრამ ესეც აღმავლობის წინაპირობა იყო. 1973 წლის დრაფტისთვის „ბადეებს“ პირველი არჩევნის უფლება ებოძათ. მათაც ბევრი არ უფიქრიათ, ისე დასტაცეს ხელი ჯულიუს ირვინგს. ეს იყო ღმერთის წყალობა, რომელიც „ბადეებმა“ შეირგეს, მხოლოდ ბოლომდე ვერა.

როდესაც თანამედროვე კალათბურთის ფესვებს ვიძიებთ, ყველა გზას ჯულიუს ირვინგამდე, დოქტორ ჯეიმდე მივყავართ. ირვინგს იმდენი ტიტულები არ რგებია, რამდენიც მაიკლ ჯორდანს, მეჯიქ ჯონსონს და სხვა სწორუპოვართ, მაგრამ სამაგიეროდ იგი თანამედროვე, სანახაობრივი კალათბურთის ფუძემდებელი გახლავთ. დოქტორ ჯეის უყვარდა კალათბურთი, პირველ რიგში თამაშობდა მას და ამისგან სიამოვნებას იღებდა. კალათბურთის ახალი თაობის ქომაგები ამტკიცებენ, მაიკლ ჯორდანს ჩატენვებში ბადალი არ ჰყოლია და ვერც ეყოლებაო. მათ რომ ირვინგი ენახათ, სხვა აზრისანი იქნებოდნენ. ამ მფრინავი საოცრების გამოჩენის შემდეგ ყველამ სხვა თვალით შეხედა კალათბურთს. სანახაობის გარდა დოქტორ ჯეის შედეგიც მოჰქონდა. მან 1974 და 76 წლებში ორჯერ აჩემპიონა „ნეთსი“ აბა-ში და ერთხელაც, 1983 წელს, „ფილადელფია“ ნბა-ში. რაც შეეხება პირად ტიტულებს, ირვინგი ორ-ორჯერ გახდა აბა-ს უძვირფასესი მოთამაშე და პირველი მექულე და ერთხელაც ნბა-ს უძვირფასესი მოთამაშე. თავისდა სამწუხაროდ, „ბადეებმა“ ბოლომდე ვერ გამოიყენეს ეს განძი.

„ნეთსი“ აბა-ს ბოლო ჩემპიონია. ამ საკმაოდ მძლავრმა ლიგამ მაინც ვერ გაუძლო ნბა-ს კონკურენციას და 1976 წელს, დაარსებიდან ცხრა წლის შემდეგ, დაიშალა. სწორედ აქ მთავრდება ნეთსის ისტორიაში ოქროს ხანა. აბა-ს გუნდების უმრავლესობა ლიგასთან ერთად დაიშალა. რამდენიმემ, რომელთა შორის „ნეთსიც“ იყო, ნბა-ს მიაშურა. ამაყმა ნბა-მ გერივით მიიღო ლტოლვილები და თითოეულს 3,2 მილიონი დოლარიც წაართვა. „ნეთსს“ ნბა-ში გაწევრიანება გაცილებით ძვირი დაუჯდა. „ბადეებმა“ 4,8 მილიონი დოლარის „კომპენსაცია“ გადაუხადეს „ნიუ იორკ ნიქსს“, რათა ამ უკანასკნელს დაევიწყებინა მათი თავხედობა, რაც „ბადეთა“ მიერ „ნიქსის“ კუთვნილ სივრცეში კალათბურთის თამაშით გამოიხატებოდა. გარდა ამისა, „ნიქსმა“ „ნეთსს“ წინადადება მისცა, სადაც სურდა, იქ წათრეულიყო, ოღონდ კი ნიუ იორკს გაშორებოდა. „ბადეებმა“ მაინც შეძლეს და იქვე მახლობლად ნიუ ჯერსიში, ფაქტობრივად ნიუ იორკის გარეუბან ისტ რეზერფორდში დაბინავდნენ.

მათდა სამწუხაროდ, „ბადეთა“ დანაკარგი რვა მილიონზე ბევრად მეტი აღმოჩნდა. ნბა-ში პირველი სეზონი ხეირიანად არც დაწყებულიყო, რომ ირვინგსა და კლუბის მაშინდელ მფლობელს როი ბოს შორის შავმა კატამ გაირბინა. ამ უკანასკნელმა უთანხმოების აღმოსაფხვრელად ყველაზე ცუდი გზა ირჩია, ირვინგი სამ მილიონ დოლარად „ფილადელფიას“ მიჰყიდა და ახლა უკვე ნიუ ჯერსის სახელით მოთამაშე „ნეთსი“ ნბა-ში პირველივე სეზონიდან სხვათა საჯიჯგნად აქცია. „ნიუ ჯერსისთვის“ ირვინგის დაკარგვა შეუხორცებელი ჭრილობა გამოდგა. ნბა-ში „ნეთსი“ აღარასდროს ასცილებია საშუალო დონეს და მისი აღმავლობა პლეი ოფში გამოჩენაში თუ გამოიხატებოდა.

ერთ-ერთი ასეთი ვითომ აღმავლობის პერიოდი „ნეთსს“ 80-იანი წლების შუაწელს ჰქონდა. ნიჭიერმა თავდამსხმელმა ბაკ ვილიამსმა და კიდევ რამდენიმე რიგიანმა ბიჭმა 1982-86 წლებში ზედიზედ ხუთჯერ გაიყვანეს თავიანთი გუნდი პლეი ოფში. 1984 წელს „ნეთსმა“ მცირე სასწაული მოახდინა პლეი ოფის პირველ წრეში. მოქმედ ჩემპიონს, ყოფილი ლიდერის, ირვინგის გუნდ „ფილადელფიას“ მოუგო, მაგრამ შორს ველარ წავიდა, მეორე წრიდან გამოვარდა. ეს იყო „ნიუ ჯერსი ნეთსის“ პირველი და ჯერჯერობით უკანასკნელი მოგებული სერია.

90-იანი წლების „ნეთსში“ რამდენიმე კარგმა ბიჭმა მოიყარა თავი, რომელთაც ხორვატი დრაჟენ პეტროვიჩი მეთაურობდა. პეტროვიჩი გაშმაგებით ამტკიცებდა, რომ არავითარ შემთხვევაში არ იყო იუგოსლავიელი და ნბა-ს ვარსკვლავებზე ნაკლები. მან ეს შეძლო, „ნიუ ჯერსის“ ლიდერად იქცა და „ბადეები“ 1992 წელს პლეი ოფში დააბრუნა. იმავე წელს პეტროვიჩმა ნბა-ს მომავალი ვარსკვლავების — ტონი კუკოჩის და დინო რაჯას დხმარებით ბარსელონას ოლიმპიადის ფინალში გაიყვანა ხორვატიის ნაკრები და იქ ამერიკის ნაკრებს შეახვედრა. ძნელი სათქმელია, ოდესმე შექმნილა თუ არა სპორტის ნებისმიერ სახეობაში ამერიკის იმ ნაკრების დარი გუნდი. იქ ხომ ამდენი ლეგენდა თამაშობდა. მაგრამ დახეთ საოცრებას, ფინალური მატჩის პირველი ათი წუთის შემდეგ პეტროვიჩის ხორვატია წინ იყო, შემდეგ კი ნულარ დავაკონკრეტებთ, ვინ მოიგო.

ნბა-ში მომდევნო სეზონში კიდევ უფრო მოღონიერდა პეტროვიჩი. 1992-93 წლებში მისმა შედეგიანობამ მატჩში საშუალოდ 22,3 ქულას უწია, რაც ჭერია ნბა-ში მოთამაშე ევროპელებისთვის. ხორვატი აგრეთვე ნბა-ს მესამე ხუთეულში შეიყვანეს. „ნეთსი“ და მისი უცხოტომელი ლიდერი წლიდან წლამდე უმატებდნენ და ვინ იცის, რამდენად შორს წავიდოდნენ, ბედისწერას რომ არ შეაფერხებინა „ნიუ ჯერსის“ აღმავლობა. 1993 წლის ზაფხულში შვებულებაში მყოფი დრაჟენ პეტროვიჩი გერმანიაში ავტოკატასტროფაში დაიღუპა. იგი მხოლოდ 28 წლის იყო.

ამ ტრაგედიის შემდეგ „ნიუ ჯერსის“ უჭირს ფეხზე დადგომა. ბოლო შვიდ სეზონში „ბადეები“ მხოლოდ ერთხელ, 1998 წელს გავიდნენ პლეი ოფში და იქაც მაიკლ ჯორდანის „ჩიკაგოს“ ბადეში გაეხვივნენ. ამის მიუხედავად, „ნეთსი“ მაინც იმედიანადაა ახალი ლიდერის, ჯეისონ კიდის იმედი აქვს, რომელიც ამ ორი თვის წინ „ფინიქსს“ სტივენ მარბერიში გაუცვალა. კიდი ნბა-ში უძლიერესი გამთამაშებელია.

**ირაკლი ფირაშვილი**



ვლადიმერ სტეფანიამ ბოლო სეზონი „ნიუ ჯერსი ნეთსში“ ითამაშა

# ესეც ალპები და ოლიმპიური დედაქალაქი

**ლოზანაში,** სასტუმრო „კონტინენტალის“ ჩემს ნომერში ვარ და ფანჯარაში ვიცქირები. მთელი დღე გადაუღებლად წვიმს და წვიმს. დროდადრო ვათვალიერებ ალბომს, რომელიც ნომერში დამხვდა. ეს ალბომი ამ სასტუმროს საუკუნოვანი იუბილეს აღსანიშნავად დაუსტამბავთ და მეც დიდი ინტერესით ვფურცლავ. მის მეპატრონეს ასეთივე სასტუმროების ქსელი ჰქონია ჟენევაშიც, ლუცერნშიც და შვეიცარიის დედაქალაქშიც. ყველა მათგანი რკინიგზის მოპირდაპირე მხარეს გაუშენებია და ამ ასი წლის განმავლობაში ვისთვის აღარ უმასპინძლია: პოლიტიკოსებისთვის, მსახიობებისთვის, მუსიკოსებისთვის, სპორტის ვარსკვლავებისთვის... მათი სტუმრობის ამსახველი ფოტოებით სავსეა ეს ალბომი: აქეთ მუსოლინი, გორბაჩოვი, იქით — კარპოვი, სამარანჩი, ესეც — პავაროტი, ჩაპლინი...

ჩარლი ჩაპლინს აქ სხვა სასტუმროშიც უცხოვრია.

„ლოზანაში დავსახლდით, სასტუმრო „ბო-რივაჟში“ დავიქირავეთ ნომერი, ზედ ტბის ნაპირას. საკმაოდ გულისგამაწვრილებელი შემოდგომა იდგა, მაგრამ მთები მშვენიერი იყო“, — იხსენებს „მსოფლიოს მოქალაქე“ ჩარლი ჩაპლინი.

ახლა ჩემს ლოზანაში ყოფნასაც გულისგამაწვრილებელი დღეები დაემთხვა, მაგრამ ჩაპლინისა არ იყოს, მთებია მშვენიერი და მეც ფანჯარაში ვიცქირები. ქუჩის გაღმა, შენობათა სახურავებს მიღმა, ხელის გაწვდენაზე ქათქათა თოვლით დაფარული ალპები აზიდულა. უკეთესი პეიზაჟი მოსჩანს სასტუმროს ახლოდან, ათიოდე წუთის სავალზე რომ გორაკია, სადაც 1275 წელს ნაკურთხი, მთელს შვეიცარიაში ყველაზე მნიშვნელოვანი გოთური ნაგებობა, საკათედრო ტაძარია აღმართული. აქედან დანახული პეიზაჟი ასე აღწერა ვიქტორ ჰიუგომ:

„ლოზანა ორ თუ სამ გორაკზე მიმობნეული სახლების ფერწერული თაიგულია, რომელიც მზეს გაუსხივოსნებია, გვირგვინად კი დიადემასავით ადგას ტაძარი. მე ვიყავი ამ ტაძრის წინ მოედანზე, საიდანაც სახურავებს ზემოთ ჟენევის ტბა მოჩანდა, ტბის გაღმა, მთებს ზემოთ, ღრუბლები გაწოლილიყო. ღრუბლებს ზემოთ კი ვარსკვლავები ციმციმებდნენ. მზერა საფეხურებად მიემართებოდა სულ მაღლა და მაღლა, სადამდეც ჩემს ფიქრებს შეეძლოთ აცოცება. ყოველი საფეხურის შემდეგ ხედი უფრო და უფრო შთამბეჭდავი ხდებოდა“.

ვოლტერიც, ალბათ, სადღაც აქედან დანახულ პეიზაჟს აღწერს, როცა ამბობს: მე ვხედავდი ტბის უბიდან ამოზიდულ ალპებს, რომელსაც ზემოდან მზის სხივები ათასფრად დასთამაშებდნენ“.

იმ დღეს მზის სხივებმა ვერა და ვერ გამოარღვია ტყვიისფერი ღრუბლები. გადაუღებლად წვიმდა და წვიმდა. ჰოდა, სასტუმროს ფანჯრიდან ცქერისას ჩემი მზერაც ვოლტერივით საფეხურებად მიემართებოდა სულ მაღლა და მაღლა, სადამდეც ფიქრებს შეეძლოთ აცოცება, ფიქრები კი დასტრიალებდა შვეიცარიის, საფრანგეთისა და იტალიის საზიარო ალპებს, იმ ალპებს, სადაც დაირწა ალპინიზმის აკვანი.

მაშინ, 1786 წლის 8 აგვისტოს ევროპის „სახურავზე“ — მონბლანზე ავიდნენ ჟაკ ბალმა და გაბრიელ პაკარი, რითაც მსოფლიო ალპინიზმს ჩაუყარეს საფუძველი. მახსენდება ორას-ბენედიქტ დე სოსიურიც — ის, ვისაც მონბლანზე ასვლის იდეა გაუჩნდა, ვინც თანამოაზრეები გაიჩინა და ამ საქმის ინიციატორად მოგვევლინა.

1760 წელს ოცი წლის სოსიური ჟენევიდან საფრანგეთის მაღალმთიან სოფელ შამონში ჩავიდა. ცნობისმოყვარე მკვლევარს ყველაფერი აინტერესებდა. იგი ფიზიკოსიც იყო, ბოტანიკოსიც, გეოლოგიც, ზოოლოგიც, ფილოსოფოსიც, ლათინისტიც, ელინისტიც და ვინ მოსთვლის, კიდევ ვინ. მონბლანის ნახვის შემდეგ მოსვენება დაეკარგა, მაგრამ იცოდა, რომ ასვლა იოლი საქმე არ იქნებოდა და ამისთვის სერიოზული მომზადება იყო საჭირო. ფულადი პრემია დააწესა იმისთვის, ვინც მწვერვალისკენ გზას უჩვენებდა და გაჰყვებოდა. მაგრამ, ჯილდო როგორი მაცდურიც უნდა ყოფილიყო, ასე ადვილად ვერავის მოხიბლავდა, რადგან იმ დროს მონბლანზე ასვლა უგუნურობად მიაჩნდათ. ბევრი ასეთ წამოწყებას თვითმკვლელობად თვლიდა. ამიტომ ბენედიქტ დე სოსიურის პრემია დიდხანს ხელუხლებელი რჩებოდა. მისი მოპოვება მხოლოდ თხუთმეტი წლის შემდეგ გადაწყვიტა ოთხმა შამონელმა გლეხმა. გლეხებმა მონბლანზე ასვლა მისი მეზობელი მწვერვალის, ლაკოტის გადავლით სცადეს, მაგრამ ამაოდ დაშვრნენ, არც სხვებს გაუმართლათ.

1784 წელს მონბლანზე შამონელმა ნატურალისტმა პიერ ბურიმ მიიტანა იერიში. იგი ყველა თავის წინამორბედზე მაღლა ავიდა, მაგრამ ისე დაიღალა, დასუსტდა და გაითოშა, რომ იძულებული გახდა, პირი ებრუნებინა.

ბურიმ თავისი ცდის შესახებ სოსიურს აცნობა. ორას-ბენედიქტმაც გადაწყვიტა, ბურისთან ერთად ეცადა ბედი და 1785 წელს მონბლანისკენ დაიძრა. იერიშის დაწყებამდე სამი შამონელი გლეხი მონბლანის მისადგომისკენ გაგზავნა, რათა მათ 1450 მეტრის სიმაღლეზე ღამისსათევი ქვის ქოხი აეგოთ. როცა ქოხში საკვები და სხვა საჭირო ნივთები მოიმარაგა, სოსიური თავის მეწყვილესთან და თხუთმეტ მთიელ გამცილებელთან ერთად, რომლებსაც პროდუქტი, საჭურველი და შეშა მიქონდათ, მწვერვალისკენ მიმავალ გზას დაადგა. ღამე ქოხში გაათენეს, მეორე დღეს კი სოსიური და ბური გზას მარტონი გაუდგნენ. სავალი თანდათან რთულდებოდა. მთის ფერდობი, რომელზეც ახალი თოვლი იდო, უფრო დამრეცი გახდა. მოიერიშეებს მწვერვალი ზვავით ემუქრებოდა და გაწბილებულები უკან დაბრუნდნენ. ერთი წლის შემდეგ, 1786 წელს სოსიურის პრემიას ჟაკ ბალმამ დაადგა თვალი.

ბალმა ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე მონადირე გლეხი იყო. ნადირობა მისთვის გატაცებაც იყო და თავის რჩენის საშუალებაც. ტყე-ღრეში ნადირის დევნაში გამოწრთობილს სალაშქრო თვისებებიც განუვითარდა.

იმ გაზაფხულზე ჟაკ ბალმა, გამცილებლებთან ერთად, მონბლანისკენ სხვა გზების მოსაძებნად გაეშურა და მათთან ერთად ამ პიკსა და მის მეზობელ მწვერვალ გუტეს შორის მოქცეულ ქედამდე ავიდა, აქ გამცილებლები შედრკნენ და მერე პირი იბრუნეს. ბალმამ მარტოდმარტომ გააგრძელა გზა, მაგრამ მალე იძულებული გახდა ოთხით ეფორთხა. ამან სიქა გააძრო და უკან დახევა გადაწყვიტა, მაგრამ გამცილებლებს ვეღარ დაეწია.

ის ღამე მონადირემ 3000 მეტრის სიმაღლეზე გაათია. ინათა თუ არა, მწვერვალისკენ მიმავალი გზის მოსაძებნად ახლა სხვა მხარეს წავიდა, წავიდა და სიხარულით ცას ეწია.

შინ დაბრუნებულს თავისი აღმოჩენის შესახებ არავისთვის უთქვამს. ერთ დღესაც ყური მოკრა, ადგილობრივი ექიმი მიშელ პაკარი დიდი ხანია მონბლანზე ასვლას ოცნებობსო. ბალმა პაკარს გამოეცხადა და, როგორც მეგზურმა, თავისი სამსახური შესთავაზა. შამონელ გლეხს სურდა თავისი აღმოჩენილი გზა შეემოწმებინა. ექიმმა და მონადირემ ხელი ხელს დაჰკრეს და მწვერვალისკენ გაემართნენ. მათი სალაშქრო აღჭურვილობა იყო მხოლოდ... თხელი საბანი, თუკი საბანს ალპინისტური საჭურველი შეიძლება ეწოდოს. ეს იყო და ეს.

ასვლა გაუჭირდათ. კუს ნაბიჯით მიიწევდნენ წინ. გაყინული და ქანცგაწყვეტილი პაკარი უკან დაბრუნებას ითხოვდა. ბალმას შეუპოვრობა რომ არა, ისინი მართლაც უკან დაიხევდნენ, მაგრამ მონადირე ამხნევებდა და ეხმარებოდა თავის მეწყვილეს, რომელმაც მონბლანის უმაღლეს წერტილს ოთხით მიაღწია.

აი, როგორ აღწერენ ამ ფაქტს მხილველნი: „ჩვენ, ქვემორეხელისმომწერნი ადოლფ ტროგოტი და გერსდორფ მაიერსდორფი, აგრეთვე შარლ ანდრე დე მაიერი, გავემართეთ შამონ-ან-ფოსინიში, რათა ახლოდან გვენახა მყინვარები და ამ ადგილების სხვა ღირსშესანიშნაობანი. 1786 წლის 8 აგვისტოს ჩვენ დურბინდით დავინახეთ როგორ ავიდნენ მიშელ გაბრიელ პაკარი, ხსენებული შამონის ექიმი, დოქტორი და მისი მეგზური ჟაკ ბალმა 6 საათსა და 23 წუთზე მონბლანზე და როგორ დასეირნობდნენ იქ. მწვერვალზე ისინი 34 წუთს დარჩნენ“.

აი, პირველად ასე დალაშქრეს მონბლანი. მაშინ არც ჟაკ ბალმამ და არც მიშელ პაკარმა არ იცოდნენ, რომ დასავლეთ ევროპის უმაღლეს წერტილზე ავიდნენ (ეს ცნობილი გახდა მხოლოდ 1820 წელს, როცა მონბლანი გაზომეს). ალბათ, ვერც იმას წარმოიდგენდნენ, რომ მათი ასვლა სათავეს დაუდებდა მთამსვლელობას, რომელსაც მონათლავდნენ ამ მთების სახელიდან წარმომდგარი სახელით „ალპინიზმი“.

ახლა, მოდით, მონბლანზე ასულ ბალმასა და პაკარს დავუბრუნდეთ.

დაშვებისას პაკარს თოვლმა თვალი მოსჭრა და თითქმის ვეღარაფერს ხედავდა. ბალმასაც თვალების ანთება დაემართა და მთლად დაუწითლდა, ტუჩებიც დაუსკდა და სახეც დაუსივდა, მაგრამ ეს არ ანაღვლებდა — მას ხომ სოსიურის პრემია ელოდა.

შინ დუბრუნებულ ბალმას რიგიანად არც დაუსვენია, ისე გავარდა ჟენევაში სოსიურთან. იქიდან ორივენი შამონში დაბრუნდნენ და მონბლანს შეუტიეს, მაგრამ ისინი შუა გზიდან ქარბუქმა მოაბრუნა.

სოსიურს ფარ-ხმალი არ დაუყრია. ერთი წლის მერე, 1 აგვისტოს, ბალმასთან ერთად კვლავ მონბლანის ძირას გამოჩნდა. მათ მწვრევალისკენ 25 მებარგული მიჰყვებოდა, მაგრამ გამცილებლები თანდათან გამოაკლდათ და ორნილა დარჩნენ. ბალმამ და სოსიურმა პირველი ღამე მწვერვალ ლაკოტზე გაათენეს, მეორე ღამისთევა მონბლანის დიდი თოვლის პლატოს ოდნავ ქვემოთ ჰქონდათ, მესამე დღეს კი, ხუთი საათის სიარულის შემდეგ, მწვრევალს მიაღწიეს.

სოსიური, რომელიც უკვე სახელმოხვეჭილი მეცნიერი იყო, ამ დღეს 26 წელიწადს ელოდა.

„მე უკვე აღარ მაწუხებდა მოუსვენრობის გრძნობა, — წერდა შემდეგ სოსიური. — მომაჯადოებელი მშვენიერებით დამშვიდებული მაღალი მწვერვალების ცქერით ვტკბებოდი, რომელთაც დიდი ხანია ბარიდან ვზვერავდი. და აი, როცა ჩემს ფერხთით ვხედავდი ბუმბერაზ მთებს, პიტალო კლდეებს, რომელთა მისადგომებიც კი აქამდე მიუვალად და სახიფათოდ მესახებოდა, საკუთარ თვალებს არ ვუჯერებდი და მეჩვენებოდა, რომ ეს ყველაფერი სიზმარი იყო...

ასეთ სიმაღლეზე, გაიშვიათებული ჰაერის გამო, ხველება ამიტყდა და მკერდზე რაღაც სიმძიმეს ვგრძნობდი“.

ბალმა და სოსიური მწვერვალზე 4 საათზე მეტ ხანს დარჩნენ. ამ ხნის განმავლობაში სოსიური არა მარტო ბუნების სიდიადით ტკბებოდა, არამედ დაკვირვებებსაც აწარმოებდა. მან მწვერვალის სიმაღლეც გაზომა და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ იგი, ბალმასთან ერთად, არა მხოლოდ ალპების, არამედ მთელი დასავლეთ ევროპის უმაღლეს წერტილზე იდგა, რაც 1820 წელს დადასტურდა.



ეს ლოზანელი ქვის ქალბატონიც ალპებს გასცქერის



ორას-ბენედიქტ დე სოსიური



ჟაკ ბალმა



მიშელ გაბრიელ პაკარი



ალპების ხედი სასტუმროს ფანჯრიდან

**ავთანდილ გურასპიშვილი**

ლოზანა — თბილისი

ავტორის ფოტოები

(გაგრძელება იქნება)

# სამპრასი ნაბადია?

## ამ ბოლო დროს ხშირად ითელება

**ნიუ იორკი. „ჰამლეტის თასი“**
**ჰარდი. საპრიზო 400 ათასი $**

წლევანდელი საჩოგბურთო სეზონის ბოლო დიდი სლემის ტურნირი, ამერიკის ღია პირველობა კარს მომდგარა. ერთ კვირაში ნიუ იორკში მსოფლიოს მეჩოგნეთა ნაღები შეიკრიბება და ფიცხელი ბურთაობაც გაჩაღდება. მანამდე კი ზოგიერთი მათგანი იქვე, ნიუ იორკში, მომცრო ტურნირში, რომელსაც „ჰამლეტის თასი“ ეწოდება, გენერალურ რეპეტიციას გადის.

90-იანი წლების უძლიერესი მეჩოგნე, ერთბაშად 13 დიდი სლემის ტურნირის გამარჯვებული პიტ სამპრასი მთლად კარგ ფორმაში რომ ვერაა, ამას ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში მისი უტიტულოდ ყოფნაც ადასტურებს. ამერიკის ღია პირველობაზე „პისტოლ პიტი“ მისთვის უჩვეულოდ დაბალ, მეათე ნომრადაა განთესილი, რაც მისთვის საზოგადოდ კარგს არაფერს უნდა ნიშნავდეს. სამპრასს კი სულაც არ სურს აღიაროს, რომ სიბერის სუსხი შეეპარა და ბურთს ჩოგანს ისე მარჯვედ ველარ სცემს, როგორც ორიოდ წლის წინ. „ახლა ცოტას წავივარჯიშებ და იქითა კვირას მე-14 დიდი სლემის მთავარი პრიზისთვის ვიმუშავებ“ — ამბობს სამპრასი. მომავალი კვირისას ვერაფერს მოგახსენებთ, „ჰამლეტის თასზე“ კი ექსპირველ ჩოგანს მართლა გვარიანად მუშაობამ და ოფლის ღვრამ მოუწია პირველივე წრეში. მესამე ნომრად განთესილს პირველ მეტოქედ ვილაც ბელგიელი ოლივიე როშე ერგო და სანამ გამარჯვების შემდეგ შვებით ამოისუნთქებდა, სამ სეტში ყველა მიმართულებით სირბილში ქანცი გასძვრა. აღსანიშნავია, რომ სამპრასი 1990 წლის შემდეგ არ წაპოტინებია „ჰამლეტის თასს“. მაშინ მან ნახევარფინალში გორან ივანიშევიჩთან წააგო.

ასე თუ ისე, სამპრასმა მოიგო და მომდევნო ეტაპზეც გააღწია. მისგან განსხვავებით, არ გაუმართლა შორეულ წარსულში ამ ტურნირში მის მძლეველ გორან ივანიშევიჩს. ერთი თვის წინ მსოფლიოს არაოფიციალური ჩემპიონატის, უიმბლდონის სასწაულით მომგები ხორვატი პირველ წრეში ამაოდ ცდილობდა ბადის საპირისპირო მხარეს მდგომი ესპანელის, ფელიქს მანტიას გატეხვას. არაფერი გამოუვიდა, თავად გატყდა — 3:6, 5:7.

იმ დღეს კიდევ ერთმა განთესილმა, ადგილობრივმა ჟან-



გორან ივანიშევიჩი: დაღმასვლა ტრიუმფის მერე

მაიკლ გემბილმა დაასრულა ნაადრევად ამერიკის ღია პირველობისთვის მოთელვა. მას ტრავმამ შეუშალა ხელი, ესპანეთის მეფის ხუან კარლოსის კიდევ ერთი ქვეშევრდომი, ალბერტო მარტინი დაემარცხებინა.

**პირველი წრე: დავიდ პრინოზილი (გერმანია) — დავიდე სანგვინეტი (იტალია) 7:6(7:5), 6:3; ტომას იოჰანსონი (შვედეთი, 5) — მიხალ ტაბარა (ჩეხეთი) 6:1, 6:4; პიტ სამპრასი (აშშ, 3) — ოლივიე როშე (ბელგია) 6:4, 6:7(3:7), 7:6(7:4); ტომი ჰაასი (გერმანია, 6) — მიხაელ კრატოხვილი (შვეიცარია) 6:3, 6:7(4:7), 6:3; ფელიქს მანტია (ესპანეთი) — გორან ივანიშევიჩი (ხორვატია, 7) 6:3, 7:5; ტომას ენკვისტი (შვედეთი, 9) — ლი ჰიუნგ ტაიკი (სამხრეთ კორეა) 6:2, 7:5; ფერნანდო მელიგენი (ბრაზილია) — მარკუს ჰიპფლი (ავსტრია) 6:2,7:6(7:3); ჟულიენ ბუტე (საფრანგეთი) — დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) 6:7(7:9), 7:6(9:7), 6:3; ალბერტო მარტინი (ესპანეთი) — ჟან მაიკლ გემბილი (აშშ) 6:3, 6:7(3:7) (ტრავმა)**

**ნიუ ჰეივენი. აშშ**
**„პილოტ პენ ტენისი“**
**ჰარდი. საპრიზო 565 ათასი $**

ნიუ ჰეივენის დიაცთა ტურნირის შარშან მომგებ ვინუს უილიამსს გადაუწყვეტია, წლეულს ბოლო დიდი სლემის მწვერვალზე შეტევის წინ ამ ტურნირის ზედიზედ მეორედ მოგებით გახალისდეს და გზად შემხვედრი ყველა მეტოქის დამარცხებას გვპირდება. გუშინწინ მან სიტყვა შეასრულა და ტურნირიდან ასაკოვანი ფრანგი სანდრინ ტესტიუ გააგდო. მართალია, უფროსმა უილიამსმა მეორე სეტში მეტოქეს ცხრა ეისი დაატეხა თავს, მაგრამ ამის პარალელურად თერთმეტი ორმაგი შეცდომა დაუშვა, ნამატჩევს კი თავი იმართლა, ზურგის კუნთი წამომტკივდა და მიზანი ამერიაო. შავმა ვენერამ იქვე იმედი გამოთქვა, მომავალი კვირისთვის ეს ტკივილი ალბათ არ შემაწუხებსო.

**პირველი წრე: ჟუსტინ ენენი (ბელგია, 5) — აზა კარლსონი (შვედეთი) 6:2, 6:3; კვეტა პრდლიჩკოვა (ჩეხეთი) — დაჯა ბედანოვა (ჩეხეთი) 1:6, 6:3, 6:2; ანკე ჰუბერი (გერმანია) — მაგუი სერნა (ესპანეთი) 6:2, 6:2; ნატალი ტოზია (საფრანგეთი, 7) — მეგან შონესი (აშშ) 6:2, 2:6, 7:5**

**მეორე წრე: ლინდსი დევენპორტი (აშშ, 1) — ანასტასია მისკინა (რუსეთი) 6:2, 6:1; კიმ კლაისტერსი (ბელგია, 4) — არანტა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი) 6:1, 6:4; ვინუს უილიამსი (აშშ, 3) — სანდრინ ტესტიუ (საფრანგეთი) 7:6(7:5), 6:3; ამელი მორესმო (საფრანგეთი, 6) — ჰენრიეტა ნაგიოვა (სლოვაკეთი) 7:6 (16:14), 6:3**

**ივანე ძოწიაშვილი**



ვინუს უილიამსი

# ბეკერი არ ისვენებს

## გერმანელი ბორგის შემდეგ მაკინროის უმიზნებს

**ჩემპიონთა** ტურის პროექტი ნელნელა ძალას იკრებს და ამის ერთი მაგალითი ავსტრიულ გრაცში ბორის ბეკერისა და ბიორნ ბორგის მატჩი იყო, რომელიც დიდმა შვედმა გერმანელის ტრავმის გამო მოიგო.

ბეკერმა ტრავმა დაივიწყა და მორიგი მეტოქისთვის ემზადება, ის კი, არც მეტი, არც ნაკლები, ჯონ მაკინროი იქნება, ბეკერივით უიმბლდონის სამგზის ჩემპიონი და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. ამ ორმა რაღაც კრივისმაგვარ ვარიანტში სიტყვიერი პაექრობანი უკვე დაიწყო. თავიდან ბეკერმა მაკინროი აქო, აღნიშნა, ჩემზე კარგ ფორმაშია, რადგან სისტემატურად ვარჯიშობს და ვეტერანთა ტურნირებში გამოდისო. დაიხ, წყვილში ფავორიტად ერთხმად 42 წლის ამერიკელი ითვლება და არა 33-ის გერმანელი. ამიტომ მაკინროი თავს ირონიის უფლებას აძლევს.

„ბორის, მე შენზე ლონდონში ვიზრუნებ“ — შეუთვალა ამერიკელმა.

„მეეჭვება“ — იყო პასუხი, თუმცა ბეკერს უფრო თავის უნდა ეეჭვებოდეს, რადგან მთელი წელია, მაკინროის გამოწვევებს თავს არიდებს. მატჩი ჩემპიონთა ტურის დროს, ლონდონში, 5-სა და 9 დეკემბერს შორის გაიმართება, თუმცა მანამდე ვეტერანები „ამერიკის ღია პირველობაზე“ საჩვენებელი თამაშის მოწყობასაც გეგმავენ.

მათ ერთმანეთში ათჯერ უთამაშიათ, ბეკერი 8:2 იგებს.



# რევანში ჩინურად

**მსოფლიოს** 20 წლამდე გოგონათა ჩემპიონატის პირველ ნომრად განთესილმა იანიუან ქსიუმ მე-6 ტურში ქართველებზე შური იძია. მას წინათ სოფო ხუხაშვილმა მოუგო, ამჯერად კი ჩინელი შავებით ხვდებოდა ჩვენიანებიდან ყველაზე უკეთ მავალ ნანა ძაგნიძეს და, სამწუხაროდ, დაამარცხა. სამაგიეროდ, ხუხაშვილმა ფიდეს ოსტატ მარისა ზურიელს (არგენტინა) აჯობა, ინგა ჭარხალაშვილმა ნახევარი ქულა გამოიმუშავა და ქართველი გოგოები ჩემპიონობისთვის თამაშს აგრძელებენ. ვაჟებიც ასევე და მე-6 ტურის შედეგებით ეს უფრო მერაბ გაგუნაშვილზე ითქმის, რომელიც თეთრებით შვედ ემანუელ ბერგს ეთამაშა. შვედს თავიდან 4 პარტია ზედიზედ მოეგო, მერე ერთპიროვნულ ლიდერთან წააგო და ნაწყენმა გაგუნაშვილთან მოსაგებად ითამაშა შავი ფერის მიუხედავად. შვედმა დებიუტში პაიკი დათმო და მეტოქის მეფის ფრთას დააწვა. მისი მრავალი ფიგურა შეჯგუფდა იმ ადგილას და დიაგრამაზე მოცემულ პოზიციაში ბერგმა შეტევა დაიწყო. შავი მხედარი გამწარებით შევარდა თეთრ ბანაკში, კუც მიეშველა, მაგრამ თითქმის მაშინვე გაგუნაშვილმა ხელსაყრელი გაცვლების ფორსირება შეძლო და სერიის დასასრულს მისი კონტრშეტევა მომწიფდა.



გაგუნაშვილის პასუხი გადამწყვეტი იყო. თეთრი ლაზიერი, ორი ეტლი და კუ აწყდებოდნენ შავ ბანაკს და იქ დიდი ნგრევა იქნებოდა, ბერგს წამგებიანი გაცვლები რომ არ ეწარმოებინა. თეთრებმა მოსაგები ენდშპილი მიიღეს. გაგუნაშვილის კიდურა პაიკი ალმაფრენით მიქროდა ჩინში ამაღლების პუნქტისკენ, მაგრამ ვერ მიაღწია, რადგან შვედმა დროზე გადმოკიდა თეთრი ალამი, 42 სვლა გასულიყო.

ზვიად იზორია შავებით სომეხ ლევონ არონიანს ეთამაშებოდა. კარო-კანის დაცვაში როქი სხვადასხვა ფლანგზე გაკეთდა და ორივე მხარემ იერიშის მზადება დაიწყო. როცა თეთრები შავ და შავები თეთრ მეფეს მიესივნენ, გაირკვა, რომ სომეხს ტემპით ეჯობნა და იზორიას მეფე მალე საშამათო ქსელში გაება. კარგი, ღია პარტია იყო, მაგრამ მალე დამთავრდა.

ზოგადად ბერძნულ პერისტერში შემდეგი ხდება: ორთავე ეულმა ლიდერმა მე-6 ტურში დაამუხრუჭა. სერგეი აზაროვმა ქულა ჩინელ ჰუა ნისთან გაიყო, ხოლო ნადეჟდა კოსინცევას გაუხარდებოდა კიდეც ზავი გერმანელ ელიზაბეტ პეტცთან, რადგან შავები ჰყავდა. ეს პეტცი საიდან გვახსოვს, თუ იცით? ორი წლის წინ კასპაროვმა მსოფლიოს წინააღმდეგ პირველი ინტერნეტ-პარტია ითამაშა და ექსპერტთა საბჭოში იყვნენ სწორედ პეტცი, ცოტათი მასზე დიდი, ექსოდესელი ირინა კრუში, რომელიც ახლა ამერიკის მოქალაქეა და კიდევ ორი პიროვნება. მაშინ პეტცი დიდ იმედებს აღუძრავდა გერმანელებს და აი, ჭადრაკის პრინცესას წოდებისთვისაც ეფექტურად ირჯება, 4,5 ქულა აქვს 6-დან.

**დავით გულუა**

**ვაჟები**

**1. სერგეი აზაროვი (რუსეთი) 5,5; 2-4. ქსიანგში ბუ (ჩინეთი), დავიდ ნავარა (ჩეხეთი), მერაბ გაგუნაშვილი (საქართველო) 5; 5-8. ჰუა ნი (ჩინეთი), ლევონ არონიანი (სომხეთი), გაბრიელ სარგისიანი (სომხეთი), ანტონ კორობოვი (უკრაინა) 4,5**

**გოგონები**

**1. ნადეჟდა კოსინცევა (რუსეთი) 5,5; 2-3. იანიუან ქსიუ (ჩინეთი), ლილიტ მკრტჩიანი (სომხეთი) 5; 4-7. ტატიანა კოსინცევა (რუსეთი), ელიზაბეტ პეტცი (გერმანია), სოფო ხუხაშვილი (საქართველო), რამასვამი აარტი (ინდოეთი) 4,5**

# თათრები ევროპას მშვიდობით გაშორდნენ

**ყაზანს** 1000 წელი უსრულდება. მრავალი თავშესაქცევი ამბის გამართვა იგეგმება და ერთი უკვე ჩატარდა: ისტორიულ საჭადრაკო მატჩში ევროპის და თათრეთის ნაკრებებმა იბრძოლეს. თათრეთში იგულისხმება მხოლოდ დღევანდელი თათართა რესპუბლიკა და არა ოდესღაც უსაზღვრო ურდოს სხვა ნაშთები ყირიმსა და მისთანა ადგილებში.

თათრები არიან ქალთა მსოფლიოს ჩემპიონობის ყოფილი პრეტენდენტი ალისა გალიამოვა-ივანჩუკი და დიდოსტატები — ნეჟმეტდინოვი და იბრაგიმოვი. გალიამოვას და იბრაგიმოვს დაემატნენ ლეგიონერები — ალექსანდრ დრეევი, სერგეი რუბლოვსკი, ალექსანდრ ხარლოვი, ალექსეი ტიმოფეევი და გვარიანად ძლიერი თათართა გუნდი დაირაზმა, მაგრამ ევროპას ბევრად სახელიანი ხალხი წარმოადგენდა. პირველ დაფაზე გაწესდა ანატოლი კარპოვი, შემდეგ ფიდეს ექსჩემპიონი ალექსანდრ ხალიფმანი, ვიქტორ კორჩნოი, მსოფლიოს ქალთა ექსჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე, სომეხი ვლადიმერ აკოფიანი და მოლდოველი ვიქტორ ბოლოგანი. ამ ჯგუფში დამაინტრიგებელი ისიც იყო, რომ ისტორიული მატჩის ავტორებმა, კარპოვმა და კორჩნოიმ 1974 წლის შემდეგ მხარდამხარ პირველად ითამაშეს.

თათრეთის პრეზიდენტმა მენტიმირ შაიმიევმა მონაწილეებს აღმოსავლურ სტილში შედგენილი მისალმებით მიმართა. აი, ფრაგმენტი: „ესაა მნიშვნელოვანი მოვლენა რესპუბლიკის სპორტულ და კულტურულ ცხოვრებაში. მჯერა, რომ იგი არა მარტო თათრებში ჭადრაკისადმი მასობრივ ინტერესს გააღვიძებს, არამედ ჭადრაკის მსოფლიო განვითარებასაც დამატებით იმპულსს შესძენს. ჩვენს ქალაქს ისეთი დიადი მოჭადრაკეები რომ ეწვივნენ, როგორებიც



ალისა გალიამოვა ყაზანელი გოგოა

კარპოვი, კორჩნოი და ჩიბურდანიძე არიან, ბევრს ნიშნავს. ეს ფაქტი შეძრავს ჩვენი სტუმართმოყვარე რესპუბლიკის ყველა მოქალაქის გულს...“

თათრეთის პრემიერ-მინისტრის სეფესიტყვით მატჩი გაიხსნა, ოღონდ ჯერ 120 დაფაზე სეანსი იყო.

დროის კონტროლი 40 სვლაზე საათსა და 35 წუთს შეადგენდა, მერე კი პარტიის დასამთავრებლად მოთამაშეებს 25 წუთს აძლევდნენ. ორიდან პირველ ტურში თათრებმა შეუტიეს. ახალგაზრდა არტიომ ტიმოფეევმა ვიორელ ბოლოგანს მოუგო, სხვა პარტიები კი ყაიმით დამთავრდა, მათ შორის ჩიბურდანიძისა და გალიამოვასი. მეორე ტურში ბებერმა კონტინენტმა ხელი გამოიღო, ხალიფმანმა რუბლიოვსკის მოუგო, ბოლოგანმა ტიმოფეევს ხურდა დაუბრუნა, მაგრამ იბრაგიმოვი მოერია აკოფიანს და საბოლოო შედეგი მეგობრული და საზეიმო ვითარების შესაფერისი გამოვიდა — 6:6.

**დავით გულუა**

# სარბიელი

## სპორტული ლატარია

# კროკო

### გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ). V ტური.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **24 აგვისტო** | | | |
| 22.30 | 010 | დიუსელდორფი-ფორტუნა | 1,95 | 3,1 | 3,5 |
| | | **25 აგვისტო** | | | |
| 17.00 | 011 | ლევერკუზენი(მ)-ესენი | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| 17.00 | 012 | ვატენშაიდი-ფერლი | 1,9 | 3,2 | 3,5 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (სამ). V ტური.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **24 აგვისტო** | | | |
| 21.30 | 013 | ელვერსბერგი-ზიგენი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 22.00 | 014 | ვეჰენი-კაიზერსლაუტერნი(მ) | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | | **25 აგვისტო** | | | |
| 17.30 | 015 | ფულდა-ოფენბახი | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| 17.30 | 016 | ანსბახი-ჰოფენჰაიმი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 17.30 | 017 | ბურგჰაუზენი-ბაიერნი(მ) | 1,7 | 3,2 | 4,4 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. III ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **25 აგვისტო** | | | |
| 19.00 | 023 | არსენალი-ლესტერი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 024 | არსენალი-ლესტერი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 19.00 | 025 | ბლექბერნი-ტოტენჰემი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 19.00 | 026 | ევერტონი-მიდლსბრო | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 19.00 | 027 | ფულემი-დერბი | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 19.00 | 028 | იფსვიჩი-ჩარლტონი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 19.00 | 029 | საუთჰემპტონი-ჩელსი | 2,8 | 3,1 | 2,3 |
| 19.00 | 030 | ვესტ ჰემი-ლიდსი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| | | **26 აგვისტო** | | | |
| 19.00 | 031 | ასტონ ვილა-მანჩესტერი | 3,4 | 3,1 | 2,0 |
| 20.00 | 032 | ნიუკასლი-სანდერლენდი | 1,85 | 3,1 | 3,8 |
| | | **27 აგვისტო** | | | |
| 24.00 | 033 | ბოლტონი-ლივერპული | 3,6 | 3,3 | 1,8 |

### ინგლისი. I დივიზიონი. III ტური.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **23 აგვისტო** | | | |
| 23.45 | 034 | როტერჰემი-შეფილდი | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| | | **24 აგვისტო** | | | |
| 23.45 | 035 | ბრედფორდი-ქოვენთრი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| | | **25 აგვისტო** | | | |
| 19.00 | 036 | ჯილინგემი-ბარნსლი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 19.00 | 037 | გრიმსბი-პრესტონი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 19.00 | 038 | სიტი-ქრიუ | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 039 | სიტი-ქრიუ 0:1 | 1,9 | 3,3 | 2,5 |
| 19.00 | 040 | მილუოლი-ბარნლი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 19.00 | 041 | ნოტინგემი-კრ.პალასი | 1,85 | 3,2 | 3,6 |
| 19.00 | 042 | უენსლი-ვესტ ბრომვიჩი | 1,95 | 3,2 | 3,4 |
| 19.00 | 043 | სტოკპორტი-პორტსმუთი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 19.00 | 044 | უოლსოლი-ბირმინგემი | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 19.00 | 045 | უიმბლდონი-ნორვიჩი | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 19.00 | 046 | ვულვერჰემპტონი-უოტფორდი | 2,1 | 3,2 | 3,1 |

### ინგლისი. I დივიზიონი. IV ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **27 აგვისტო** | | | |
| 19.00 | 047 | ბარნსლი-როტერჰემი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 19.00 | 048 | ბირმინგემი-სტოკპორტი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 049 | | ბირმინგემი-სტოკპორტი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 19.00 | 050 | ნორვიჩი-უენსლი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 19.00 | 051 | პორტსმუთი-გრიმსბი | 1,85 | 3,3 | 3,5 |
| 19.00 | 052 | პრესტონი-უიმბლდონი | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| 19.00 | 053 | შეფილდი-ვულვერჰემპტონი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 19.00 | 054 | უოტფორდი-უოლსოლი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 19.00 | 055 | ვესტ ბრომვიჩი-ჯილინგემი | 1,8 | 3,3 | 3,6 |
| 22.15 | 056 | ბარნლი-სიტი | 2,4 | 3,2 | 2,5 |
| 23.45 | 057 | ქოვენთრი-ნოტინგემი | 1,65 | 3,3 | 4,7 |

### ინგლისი. II დივიზიონი. III ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **25 აგვისტო** | | | |
| 19.00 | 060 | ბლეკპული-უიკომბი | 2,2 | 3,2 | 2,9 |
| 19.00 | 061 | კემბრიჯი-სტოკი | 2,8 | 3,1 | 2,3 |
| 19.00 | 062 | კარდიფი-ბორნმუთი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 19.00 | 063 | ჩესტერფილდი-ბრენტფორდი | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 19.00 | 064 | ჰადერსფილდი-ბერი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 19.00 | 065 | ნორთჰემპტონი-ნოტსი | 2,4 | 3,2 | 2,5 |
| 19.00 | 066 | პორტ ვეილი-პიტერბრო | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 19.00 | 067 | ქუინზ პარკი-რედინგი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 19.00 | 068 | სუინდონი-ოლდემი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 19.00 | 069 | ტრანმერი-ბრაიტონი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 19.00 | 070 | უიგანი-ბრისტოლი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 19.00 | 071 | რექსემი-კოლჩესტერი | 2,1 | 3,1 | 3,2 |

### ინგლისი. II დივიზიონი. IV ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **27 აგვისტო** | | | |
| 19.00 | 072 | ბრენტფორდი-კემბრიჯი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 19.00 | 073 | ბრისტოლი-კარდიფი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 19.00 | 074 | ბერი-სუინდონი | 1,85 | 3,2 | 3,6 |
| 19.00 | 075 | კოლჩესტერი-პორტ ვეილი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 19.00 | 076 | ნოტსი-ჩესტერფილდი | 1,55 | 3,5 | 5,3 |
| 19.00 | 077 | პიტერბრო-ჰადერსფილდი | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 19.00 | 078 | უიკომბი-ქუინზ პარკი | 2,4 | 3,2 | 2,5 |
| 23.45 | 079 | სტოკი-ტრანმერი | 1,75 | 3,3 | 3,6 |

### ინგლისი. III დივიზიონი. III ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **25 აგვისტო** | | | |
| 19.00 | 084 | როვერსი-ლუტონი | 2,1 | 3,2 | 3,1 |
| 19.00 | 085 | კარლაილი-ჰალი | 3,0 | 3,1 | 2,2 |
| 19.00 | 086 | ჩელტენემი-მენსფილდი | 1,85 | 3,2 | 3,6 |
| 19.00 | 087 | ექსეტერი-სკანთორპი | 2,2 | 3,2 | 2,9 |
| 19.00 | 088 | ჰარტლპული-დარლინგტონი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 19.00 | 089 | კიდერმინსტერი-ტორკი | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| 19.00 | 090 | ლინკოლნი-სუონსი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 091 | მაკლფილდი-რაშდენი | 2,4 | 3,2 | 2,5 |
| 19.00 | 092 | ოქსფორდი-შრიუსბერი | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 19.00 | 093 | პლიმუთი-როჩდეილი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 19.00 | 094 | საუთენდი-ჰალიფაქსი | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| 19.00 | 095 | იორკი-ლეიტონი | 2,4 | 3,2 | 2,5 |

### ინგლისი. III დივიზიონი. IV ტური.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **27 აგვისტო** | | | |
| 19.00 | 096 | დარლინგტონი-როვერსი | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 19.00 | 097 | ჰალიფაქსი-ოქსფორდი | 2,4 | 3,2 | 2,5 |
| 19.00 | 098 | ჰალი-კიდერმინსტერი | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| 19.00 | 099 | ლეიტონი-ჰარტლპული | 2,2 | 3,2 | 2,9 |
| 19.00 | 100 | ლუტონი-საუთენდი | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 19.00 | 101 | მენსფილდი-მაკლსფილდი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 19.00 | 102 | როჩდეილი-ექსეტერი | 1,55 | 3,5 | 5,3 |
| 19.00 | 103 | რაშდენი-პლიმუთი | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 19.00 | 104 | სკანთორპი-ლინკოლნი | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| 19.00 | 105 | სუონსი-ჩელტენჰემი | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 19.00 | 106 | ტორკი-კარლაილი | 1,9 | 3,2 | 3,5 |

### საფრანგეთი. I დივიზიონი. V ტური.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **25 აგვისტო** | | | |
| 20.15 | 108 | ბორდო-ოსერი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 23.00 | 109 | ბასტია-მარსელი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 23.00 | 110 | გენგამი-ნანტი | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 23.00 | 111 | ლორიანი-მონაკო | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 23.00 | 112 | მონპელიე-სოშო | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 23.00 | 113 | პსჟ-რენი | 1,65 | 3,1 | 5,3 |
| 23.00 | 114 | სედანი-მეცი | 1,95 | 2,9 | 3,8 |
| 23.00 | 115 | ტრუა-ლიონი | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| | | **26 აგვისტო** | | | |
| 23.45 | 116 | ლანსი-ლილი | 1,85 | 3,0 | 4,0 |

### საფრანგეთი. II დივიზიონი. V ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **24 აგვისტო** | | | |
| 22.00 | 117 | სტრასბური-შატორუ | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| | | **25 აგვისტო** | | | |
| 23.00 | 118 | აიაჩო-ლე მანი | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 23.00 | 119 | ამიენი-კრეტეი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 23.00 | 120 | გენიონი-კაენი | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 23.00 | 121 | ისტრი-ბოვე | 2,4 | 2,8 | 2,9 |
| 23.00 | 122 | ლავალი-ნიმი | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 23.00 | 123 | ლე ავრი-გრენობლი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 23.00 | 124 | ნიცა-ნიორი | 2,3 | 2,8 | 3,1 |
| 23.00 | 125 | მარტიგი-ნანსი | 2,4 | 2,8 | 2,9 |
| 23.00 | 126 | ვასკეალი-სტ. ეტიენი | 2,4 | 2,9 | 2,8 |

### იტალია. სერია A. I ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **25 აგვისტო** | | | |
